ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 23 ოქტომბერი, 2017

№251 (7485)

ფასი: 50 თეთრი

## „თიანეთში არჩევნების ღამეს საშინელება მოხდა“

გვ.5

თამაზ მეჭიაური: „ქუცნაშვილი ამ პარლამენტს ვერ დაამთავრებს!“



17 ოქტომბრიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# კალაძემ ნარმანიასა და უგულავაზე ნაკლები ხმები მიიღო



გვ.2

სად ჩატარდება მეორე ტური





თბილისის საკრებულოში 4 პარტია შევიდა

## „რუსთავი 2-მა „ქართულ ოცნებაზე“ იმუშავა“

გვ.3

თამარ ჩხეიძე: „თუ ახალი ფაქტორები არ გამოიკვეთა, მომავალშიც ამავე შედეგებს მივიღებთ“



## „კალაძე იქნება ან წარმატებული მერი, ან პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს“

გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე: „2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ოცნების“ ბედი კალაძეზე იქნება დამოკიდებული“





## თორნიკე შარაშენიძე: „ელისაშვილი ისევ მოჩხუბარი უნდა დარჩენილიყო. დასერიოზულებამ მას რეიტინგი დაუგდო“

გვ.4

### სამართალი

გვ.7

წყალტუბოში „წითელ წიგნში“ დაცული სვავი მოკლეს — იდენტიფიცირებულია დამნაშავე ორი პირი



24 წლის ეკა ნაქეუხრიშვილის დაკრძალვაზე მისმა მაზლმა, გურამ გურასპიშვილმა, თვითმკვლელობა ცადა



მეუღლესა და არასრულწლოვან შვილზე ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

### ეკონომიკა

გვ.6



როდის აშენდება და როგორი იქნება მირზაშაფი?








რა შემთხვევაშია შესაძლებელი თქვენი გამოსახლება



რა ანაზღაურება აქვთ მერიაში დასაქმებულ მეთუნუქე-მეეზოვეს, ფანჯრის მწმენდავსა და მუშას

ISSN 1987-9385

4 — დავით ნარმანია: „ვრჩები გუნდში, ვრჩები საქართველოში“

3 — სააკაშვილი კიევში აქციებს 7 ნოემბრამდე გააგრძელებს

4 — ენდიაის დამკვირვებლებმა არჩევნებზე სერიოზული დარღვევები დააფიქსირეს

7 — სენატორი ჯეიმს რიში: „საქართველო ნატოს კრიტერიუმებს ბოლომდე ჯერ ვერ აკმაყოფილებს“

# „კალაძე იქნება ან წარმატებული მერი, ან პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს"

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში თბილისის არჩევნების შედეგებზე საუბრობს.

***– ქალბატონო ხათუნა, რამდენად ელოდით, რომ დედაქალაქში არჩევნების პირველივე ტურში გამოვლინდებოდა გამარჯვებული?***

– სრულიად ლოგიკური შედეგი დაიდო. რაც შეეხება მეორე ტურს, მოსახლეობის განწყობიდან გამომდინარე, მეორე ტურის მოლოდინი იყო და მეც მქონდა, რაც კონკრეტულ მოცემულობაზე იყო დამოკიდებული: ორგანიზაციული სტრუქტურის ხარჯზე „ქართულმა ოცნებამ" თავისი მხარდამჭერები გამოიყვანა უბნებზე, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობის ყველა ფრთამ. წვრილმა პარტიებმაც შეძლეს თავიანთი ამომრჩევლის მობილიზება, თუმცა მისული ამომრჩევლის ხარჯზე კალაძის ამომრჩევლის საერთო რაოდენობის შემცირების შესაძლებლობისა და მეორე ტურის შანსი მხოლოდ ალეკო ელისაშვილს ჰქონდა.

თუმცა, ალეკო ელისაშვილის მთავარი გამოწვევა იყო ორგანიზაციული სტრუქტურების, ფინანსების არარსებობა და საარჩევნო პროცესის არასრული გამოცდილება. ეს არჩევნები კოორდინატორების არჩევნები იყო. ვისაც ჰყავდა კარგად მობილიზებული კოორდინატორი არჩევნებში, შედეგიც მან დადო. ასეთი საორგანიზაციო ქსელი ელისაშვილს არ ჰყავდა, შესაბამისად, მან ვერ მოახერხა სრულად იმ ამომრჩევლის მობილიზება და საარჩევნო ხმებად ქცევა, რომელიც მისი პოტენციური მხარდამჭერი იყო.



ხათუნა ლაგაზიძე: „2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ოცნების" ბედი კალაძეზე იქნება დამოკიდებული"

***– ელისაშვილი რომ ყოფილიყო მთელი ოპოზიციური სპექტრის კანდიდატი, კალაძე უფრო მეტი გამოწვევის წინაშე იდგებოდა?***

– რთული სათქმელია. ასე მარტივად არ იკრიბება ეს ციფრები. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლისთვის ისეთივე მოტივაცია იქნებოდა, როგორც უდუმაშვილის შემთხვევაში?! ან ნაციონალების პარტიული საორგანიზაციო სტრუქტურები ასე დაიხარჯებოდნენ?!

***– კალაძემ ივანიშვილის ფაქტორისგან რამდენად დამოუკიდებლად მოიგო ეს არჩევნები?***

– რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი მუშაობდა. კალაძემ არჩევნები მოიგო, როგორც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გუნდის ლიდერმა. რასაკვირველია, ივანიშვილის დახმარების წილი არ იყო ისეთი, როგორიც ნარმანიას, თუნდაც მარგველაშვილის შემთხვევაში, როდესაც ივანიშვილს ვირჩევდით სხვა სახელითა და გვარით.

ამ შემთხვევაში ჩვენ ავირჩიეთ კონკრეტული სახელისა და გვარის მქონე პიროვნება, რომელიც არის ივანიშვილის გუნდის ლიდერი. ამიტომ არის არსებითი განსხვავება. ერთადერთი, ვინც დამოუკიდებელი პოლიტიკური შტრიხები შესძინა საკუთარ თავს, ეს იყო კახი კალაძე. „ოცნების" წიაღში ის იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო ამ შედეგის დადება. ამიტომ მას შემდეგ, რაც კალაძემ თავისი კანდიდატურა დააყენა, მისი გამარჯვება იყო მოსალოდნელი ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. მათ შორის ოპოზიციის დაქსაქსულობიდან, მისი სისუსტიდან გამომდინარე, თანაც საზოგადოებაში ძალიან მაღალი ნიჰილისტური განწყობებია სწორედ ოპოზიციის მიმართ, რაც კალაძის წისქვილზე ასხამდა წყალს. მიუხედავად ამისა, კალაძეს მარტივი ბრძოლა არ ჰქონია. ეს იყო პირველი არჩევნები, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ და უშუალოდ არ ჩაერთო პროცესში.

***– როგორი მერი იქნება კალაძე? საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ ქვეყანაში სწორედ თბილისის მერი ხდება ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე არჩეული პირი. ეს იქონიებს თუ არა გავლენას მის პოლიტიკურ ამბიციებზე?***

– დღეს კალაძე „ქართულ ოცნებაში" ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული ლიდერია, რაშიც ლომის წილი თავად მას უდევს. კახა კალაძესა და მის შემდგომ ნაბიჯებზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება ის იქცეს ან განტევების ვაცად, ან „ქართული ოცნების" წარმატების მთავარ მამოძრავებელ ღერძად.

***– ამ გზაზე რა გამოწვევების წინაშე დგას კალაძე?***

– პირველი არის საკრებულო, რომელიც მივიღეთ „ოცნებითა" და ნაციონალებით დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, რეალური ოპოზიციური ძალა, რომელსაც მერი ანგარიშს გაუწევს, საკრებულოში ვერ მოხვდა. შეიძლება კვლავ აქტუალური იყოს ცხრაწლიანი მმართველობის პერიპეტიები და მისი შეხსენება. საკრებულოში ძლიერი, მრავალფეროვანი ოპოზიციის არარსებობა კალაძეს კი მისცემს მერის პოზიციაზე მშვიდად არსებობის გარანტიას, მაგრამ ეს სიმშვიდე შეცდომებისთვის ყოველთვის არის კარგი საფანელი. უფრო მრავალფეროვანი, კონკურენტუნარიანი საკრებულოს შემადგენლობა მას აიძულებდა, უფრო ეფექტური ყოფილიყო.

მეორე გამოწვევა არის ვალდებულებები საკუთარი პოლიტიკური გუნდის მიმართ. ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, როგორი მადა ექნება „ქართულ ოცნებას". ტენდერებს, სასათბურე პირობებს ვგულისხმობ, ასევე სამშენებლო ნებართვების გაცემას და ა.შ.

***– გაუძლებს ამ გამოწვევებს?***

– უნდა გაუძლოს. ის იძულებულია, იყოს წარმატებული მერი. სხვა შემთხვევაში, მას მერობის გზაზე ბარიერები და გამოწვევები საკმარისზე მეტი დახვდება. რამდენად იქნება წარმატებული მერი, მისი მოტივაციის მთავარი გამოწვევაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაასრულებს პოლიტიკურ კარიერას და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მასზე გადატყდება ჯოხი. სწორედ კალაძის წარმატება-წარუმატებლობაზე იქნება დამოკიდებული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების" ბედი.

***– კალაძე გუნდისგან, „ქართული ოცნებისგან" რამდენად დამოუკიდებელ თამაშს წამოიწყებს?***

– გააჩნია, დასჭირდება თუ არა ეს მას. თუ კალაძემ დაინახა, რომ „ქართული ოცნება" მის პოლიტიკურ მომავალს საფრთხეს უქმნის, მაშინ რეალურად ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დადგება – შეეწიროს და ჩაჰყვეს „ქართულ ოცნებას" თუ საკუთარი პოლიტიკური კარიერის გადარჩენაზე იფიქროს.

# თბილისის საკრებულოში 4 პარტია შევიდა

## სად ჩატარდება მეორე ტური

შორენა მარსაგიშვილი

თვითმმართველობის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით წინ კიდევ ბევრი ვნებათაღელვა გველოდება. რამდენიმე ქალაქში მეორე ტური ჩატარდება, თბილისში კი ყველაფერი პირველ ტურში გაირკვა.

დედაქალაქის საკრებულოში 25 მაჟორიტარიდან 25-ვე „ქართულ ოცნებას" ერგო, სიითი შემადგენლობით კი 15 კაცი გაიყვანა. 50-კაციან საკრებულოში მმართველ პარტიას 40 ადგილი ერგო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით რომ ჩატარებულიყო, „ქართული ოცნება" 27-28 მანდატს მიიღებდა.

დანარჩენი 10 ადგილი სამმა პარტიამ გადაინაწილა. საკრებულოში 5 მანდატი მოიპოვა მეორე ადგილზე გასულმა ნაციონალურმა მოძრაობამ. მესამე ადგილზე გასულ „ევროპულ საქართველოს" 3 მანდატი ერგო, მეოთხეადგილოსანმა პატრიოტთა ალიანსმა კი 2 დეპუტატი გაიყვანა.

დედაქალაქის მერი, როგორც მოსალოდნელი იყო, კახა კალაძე გახდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2017 წლის 21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებზე მან არჩევნებზე მისული ამომრჩევლების ხმების 51,13% მიიღო, რაც მთლიანობაში 204.061 ხმას შეადგენს.

მართალია, კალაძე მერი გახდა, მაგრამ, როგორც ირკვევა მან ბევრად ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე თავის დროზე დავით ნარმანიამ და გიგი უგულავამ მიიღეს.

ამასთან დაკავშირებით პირველი რადიო საკმაოდ საინტერესო კვლევას აქვეყნებს.







კალაძემ ნარმანიასა და უგულავაზე ნაკლები ხმები მიიღო

ცესკოს მონაცემებით, თბილისში სულ 958.729 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. ამომრჩეველთა აქტივობამ თბილისში 43.4% შეადგინა. არჩევნებში მონაწილეობა 399.114 ამომრჩეველმა მიიღო.

ოფიციალური მონაცემებით, კახა კალაძემ არჩევნებში მონაწილეთა ხმების 51,13% მიიღო, რაც 204.061 ხმაა. ამ მონაცემების მიხედვით, „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატმა 21 ოქტომბრის თბილისის მერის არჩევნებში საერთო ამომრჩევლის 21.2845% მიიღო.

თბილისში ჩატარებული მერის წინა არჩევნების შედარების შემთხვევაში, სურათი ასე გამოიყურება:

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისში რეგისტრირებული იყო 918.667 ამომრჩეველი.

15 ივნისის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 342.386-მა ამომრჩეველმა. „ქართული ოცნების" კანდიდატმა დავით ნარმანიამ პირველ ტურში ხმათა 46.09% – 151.807 მიიღო, რაც საერთო ამომრჩევლის 16.5247% იყო.

მეორე ტურში, რომელიც 28 ივნისს გაიმართა, თბილისში რეგისტრირებული იყო 920.020 ამომრჩეველი და არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 316.014 ამომრჩეველმა და ნარმანიამ ხმათა 72.47% – 222.066 მიიღო, რაც საერთო ამომრჩევლის 24.1370%-ია.

თბილისის მერის პირველ პირდაპირ არჩევნებზე 2010 წლის 30 მაისს თბილისში რეგისტრირებული იყო 982.505 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 457.903 ამომრჩეველმა. ნაციონალების კანდიდატმა გიგი უგულავამ არჩევნებში ხმათა 55.23% ანუ 248.954 ხმა მიიღო, რაც საერთო ამომრჩევლის 25.387%-ს შეადგენს.

შედეგების მიხედვით, მარტივი არითმეტიკით, კალაძემ ნარმანიასთან შედარებით 18.005 ხმით ნაკლები მიიღო, უგულავასთან შედარებით კი – 44.893 ხმით ნაკლები.

ამაზე ახლა „ოცნებაში" ნაკლებად დარდობენ. მათი მთავარი სადარდებელი ახლა ქვეყნის საპარლამენტო დედაქალაქი ქუთაისია, სადაც მათმა რჩეულმა ნაციონალ გრიგოლ ვაშაძის დამარცხება პირველივე ტურში ვერ შეძლო.

ქუთაისში „ქართული ოცნების" კანდიდატმა გიორგი ჭილვარიამ ხმების 48.61% მიიღო. მისი კონკურენტი მეორე ტურში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე იქნება, რომლის შედეგიც პირველ ტურში 27.05%-ია.

სავარდო და სამაისო ქუთაისის გარდა, მეორე ტური კიდევ 5 მუნიციპალიტეტში გაიმართება.

ყაზბეგში „ქართული ოცნების" კანდიდატმა ალექსანდრე ზაგაშვილმა ხმების მხოლოდ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რუსთავი 2-მა „ქართულ ოცნებაზე“ იმუშავა“

მარიამ მჭედლიშვილი

## თამარ ჩხეიძე: „თუ ახალი ფაქტორები არ გამოიკვეთა, მომავალშიც ამავე შედეგებს მივიღებთ“






ადგილობრივ არჩევნებს „ახალ თაობასთან“ აფასებს ყოფილი დისიდენტი და დეპუტატი თამარ ჩხეიძე.

***– ბევრი მოელოდა, რომ თბილისის მერი მეორე ტურში გამოვლინდებოდა. ამის მიუხედავად, მაშინვე გამოცხადდა, რომ კალაძემ არჩევნები პირველივე ტურში დამაჯერებლად მოიგო.***

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ სახელისუფლებო კანდიდატი და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მერის არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებდა. ხელისუფლებას არჩევნებისათვის უამრავი უპირატესობა და მძლავრი ბერკეტი აქვს, რასაც ის თავის სასარგებლოდ იყენებს. ეს ჩანდა რეიტინგებიდანაც. ძალიან სამწუხაროა, რომ კრიტიკულ მომენტში რუსთავი 2-მა მმართველ პარტიაზე იმუშავა.

***– ეგზიტპოლს გულისხმობთ?***

– ძირითადად, ეგზიტპოლს, თუმცა მანამდე გამოცხადებული რეიტინგებითაც რუსთავი 2-მა ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი. ყველაზე მოულოდნელი მაინც ის მაჟორული განწყობა იყო, რომელსაც ეს ტელეკომპანია ქმნიდა არჩევნების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე. კრიტიკულ მომენტში ყველაზე კრიტიკულმა ტელევიზიამ იმოქმედა ისე, როგორც უნდოდა „ქართულ ოცნებას“. მან ღიად იმუშავა „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის სასარგებლოდ.

***– ასეთი რამ ადრე არ მომხდარა?***

– ამის ნიშნები ადრეც შემიმჩნევია. მაგალითად, ბოლო საპარლამენტო არჩევნების დღეს რუსთავი 2-ის ეთერით გავიდა კლიპი, რომელიც, ერთი შეხედვით, ზოგადად არჩევნების მხარდამჭერი იყო, თუმცა იქ კადრში ჩანდა ივანიშვილი, რაც, ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ შეფარული რეკლამა იყო. უხეში გათვლით, მმართველ პარტიას მხარს უჭერს 20%. ესაა ბირთვი, რომელსაც შემდეგ სხვადასხვა მაქინაციით ემატება პროცენტები. ესაა როგორც გაყალბება, ისე მოსყიდვა და დიდი სახელმწიფო რესურსი. ამგვარად ეს 20% იმატებს და საბოლოოდ აღმოჩნდება ხოლმე, რომ მმართველ პარტიას ხმა მისცა 50-ზე მეტმა პროცენტმა. „ქართულ ოცნებას“ თავიდანვე ამაზე ჰქონდა გათვლა და მნიშვნელობა არა აქვს, რას ეუბნებოდა ამომრჩეველს კახა კალაძე ან ვარაუდობდა თუ არა ვინმე მეორე ტურს. სამწუხარო ისაა, რომ გადამწყვეტ მომენტში ამაში მონაწილეობს ის ტელევიზია, საიდანაც საზოგადოება იგებს სიმართლეს და ისმენს კრიტიკულ აზრს.

***– რა იქნება ამ კუთხით მომავალში?***

– მომავალში რუსთავი 2 გააგრძელებს თავის ჩვეულ საქმიანობას და ხელისუფლების კრიტიკას. ხელისუფლებას ოპოზიციური არხი სჭირდება კიდეც, მით უმეტეს, თუ ეს არხი კრიტიკულ მომენტში მის სასარგებლოდ იმუშავებს.

***– არჩევნებამდეც იყო ისეთი შთაბეჭდილება, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ერთმანეთის წახალისებას ახდენდნენ.***

– ყოველ შემთხვევაში, რუსთავი 2 მაშინ მმართველ პარტიაზე არ მუშაობდა. სხვათა შორის, არაადეკვატურია ამ ტელეკომპანიის ეგზიტპოლზე „ევროპული საქართველოს“ რეაქცია, ანუ თანხმობა. ამ პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ გამოკითხვის დროს ხალხი შეშინებული იყო და სწორ პასუხებს არ იძლეოდა, არჩევნების შედეგი კი სხვა იქნებაო. ეს იყო ამ პარტიის თანხმობა. სხვებისაგან განსხვავებით, „ევროპულ საქართველოს“ არ ვთვლი იმ პარტიად, რომელიც ხელისუფლებას გაურიგდა. ამიტომ მათი შეფასებები არაადეკვატურად მეჩვენა.

***– ამგვარი სურათი შეიძლება მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზეც მივიღოთ?***

– თუ არაფერი შეიცვალა, იმავე სურათს მივიღებთ. შესაძლოა, გამოიკვეთოს ახალი ფაქტორი, რომელიც გარდამტეხი აღმოჩნდება და პოლიტიკურ ვითარებას შეცვლის. სხვა შემთხვევაში, სულ ამ წრეზე ვიტრიალებთ.

# სააკაშვილი კიევში აქციებს 7 ნოემბრამდე გააგრძელებს

შორენა მარსაგიშვილი

## „კარვების ქალაქში სემინარებს ჩავატარებთ“





20 ოქტომბერს საქართველოს მესამე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 22 ოქტომბერს საზოგადოებას ოლიგარქების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმას გააცნობდა. 22 ოქტომბერს რადას წინ შეკრებილ მომიტინგეებს მან რამდენჯერმე მიმართა, თუმცა გეგმა არ წარმოუდგენია.

რადას წინ აქცია 17 ოქტომბრიდან მიმდინარეობს. იქ რამდენიმე ათეული კარავია გაშლილი. აქციაზე სიტუაცია დროგამოშვებით იძაბება. იქაურ სამართალდამცავებს რამდენჯერმე დასჭირდათ ცრემლსადენი გაზის გამოყენება.

დაპირისპირება აქციაზე გუშინ, 22 ოქტომბერსაც, მოხდა. სამართალდამცავებმა იმ ავტომობილის ბლოკირება მოახერხეს, რომელშიც ხმის გამაძლიერებელი აპარატურა იყო. აქციის მონაწილეებთან დაპირისპირებისა და მოლაპარაკებების შემდეგ სამართალდამცავები დათმობაზე წავიდნენ და კარვების ქალაქს ხმის გამაძლიერებელი აპარატურაც შეემატა.

კიევში საპროტესტო აქციები, სულ მცირე, 7 ნოემბრამდე გაგრძელდება. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა 22 ოქტომბერს განაცხადა.

ჩვენებურის განცხადებით, ამ პერიოდში კარვების ქალაქში სემინარები, დისკუსიები და განხილვა გაიმართება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემუშავდეს გეგმები.

სააკაშვილმა აქციაზე უკრაინის ეროვნული გვარდიის გაუქმებაც მოითხოვა. მისი თქმით, გვარდიასთან ერთად უკრაინის უშიშროების სამსახურიც უნდა დაიხუროს.

– უკრაინის ეროვნული გვარდია ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება, ამიტომ მისი ლიკვიდაციაა საჭირო. ეს არის არა ეროვნული გვარდია, არამედ „ბარიგების“ გვარდია, რომელიც იმისთვისაა შექმნილი, რომ მთავარი „ბარიგა“ საკუთარი ხალხისგან დაიცვას. ეროვნული გვარდია უნდა დაიხუროს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი იმასაც აპროტესტებს, რომ გვარდიაზე გაცილებით მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე მთლიანად უკრაინულ ჯარზე.

– ეროვნულ გვარდიაზე 2,5-ჯერ მეტი სახსრებია გამოყოფილი, ვიდრე უკრაინულ ჯარზე. ეს კი დაუშვებელია, – მიიჩნევს ჩვენებური.

ოდესის ყოფილი გუბერნატორი უკრაინის ეროვნულ გვარდიას 21 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის შემდეგ შემოსწყრა.

## რატომ გამოაძევეს უკრაინიდან 3 ქართველი მებრძოლი



მისი თქმით, უკრაინის ხელისუფლებამ საქართველოში იძულების წესით გამოაგზავნა მისი 3 ქართველი თანამებრძოლი. სააკაშვილის მტკიცებით, სამივე მათგანს უკრაინაში ცხოვრების უფლება ჰქონდა.

ერთ-ერთი პოლკოვნიკი დავით მაყიშვილია, რომელიც უკრაინაში გამგზავრებამდე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. ის აგვისტოს ომის მონაწილეც არის.

რამდენიმე თვის წინ რუსულ მედიას აგვისტოს ომის მონაწილე ქართველი სამხედროების პირადი მონაცემები ჩაუვარდა ხელში. მათ ეს მონაცემები გაასაჯაროეს. მათ შორის იყო დავით მაყიშვილიც.

ამასთან დაკავშირებით საქართველოში სერიოზული სკანდალი აგორდა. ამის მიუხედავად, ჩვენს სამართალდამცავებს ეს ფაქტი დღემდე არ გამოუძიებიათ.

მაყიშვილი უკრაინაშიც აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე საომარ მოქმედებებში. პოროშენკოს ხელისუფლება მისი მადლიერიც იყო, მაგრამ ახლა მაყიშვილი ქვეყნიდან გააძევეს.

ამასთან დაკავშირებით სააკაშვილი ასეთ განცხადებას ავრცელებს:

– ჩემი მეგობარი, დონბასის ომის გმირი დავით მაყიშვილი, ასევე საქართველოში ჩემი დაცვის ყოფილი წევრი გიორგი რუბაშვილი და ყოფილი მძღოლი მიხეილ აბზიანიძე ქუჩიდან მოიტაცეს და ყველა კანონის დარღვევით, პოროშენკოს პირადი განკარგულებით, სცემეს და სპეცრეისით, უკრაინის ეროვნული გვარდიის თვითმფრინავით, სპეცრაზმის თანხლებითა და თავზე ჩამოცმული ტომრებით საქართველოში გამოამგზავრეს.

უკრაინის შსს-მ და უშიშროების სამსახურმა უარი განაცხადეს ამ უკანონობის ჩადენაზე და მისი შესრულება პრეზიდენტმა ეროვნულ გვარდიას დაავალა, რომელიც პირადად მას ემორჩილება.

დავით მაყიშვილი, მიხეილ აბზიანიძე და გიორგი რუბაშვილი სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა თბილისში სპეციალური რეისით ჩამოიყვანეს.

როგორც მაყიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში თქვა, მათთვის საქართველოში ჯერ არანაირი პრობლემები არ შეუქმნიათ.

ის დარწმუნებულია, რომ უკრაინიდან სააკაშვილთან მეგობრობის გამო გამოაძევეს და ამბობს, რომ მათთვის არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენიათ.

– არც დაკავების პროცესში, არც შემდგომ არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენიათ, არანაირ დოკუმენტზე ჩვენ ხელი არ მოგვიწერია. საერთოდ არ განგვიმარტეს, რატომ დაგვაკავეს. თვითმფრინავში რომ ჩაგვსვეს, მაშინ მივხვდი, რომ საქართველოში მოვდიოდით. მე ვარ ბატონი მიხეილ სააკაშვილის მეგობარი და ეს ყველანაირად უკავშირდება დღევანდელ მოვლენებს უკრაინაში. ფაქტი სახეზეა, რომ მის საახლობლო წრეზე ხორციელდება ზეწოლა, – აღნიშნა მედიასთან საუბარში დავით მაყიშვილმა.

უკრაინიდან გამოძევებულები ამ ამბის ასე დატოვებას არ აპირებენ. ისინი სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებენ.

არ არის გამორიცხული, რომ ქართველმა მებრძოლებმა გამოძევებასთან დაკავშირებით სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართონ. ისინი განმარტებებს უკრაინის საელჩოსგანაც ითხოვენ.

სააკაშვილი კი ამასობაში 7 ნოემბრისთვის ემზადება და მანამდე რადას წინ კარვებში სემინარებს ჩაატარებს.

უკრაინის რადიკალური პარტიის ლიდერი ოლეგ ლიაშკო მას რჩევას აძლევს და საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდებს.

– სააკაშვილის პარტიამ საქართველოში არჩევნებში დამაჯერებელი მარცხი განიცადა. სხვაობა დაახლოებით სამჯერ მეტია. სააკაშვილო, დაბრუნდი შენს სამშობლო საქართველოში, უშენოდ ის იღუპება, გააბედნიერე შენი ერთგული ქართველები რეფორმების 5-კვირიანი გეგმით, იხსენი შენი სამშობლო, უკრაინას ჩვენ თვითონ გადავარჩენთ, – წერს ლიაშკო ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

# „ელისაშვილი ისევ მოჩხუბარი უნდა დარჩენილიყო. დასერიოზულებამ მას რეიტინგი დაუგდო“

ნონა ცაბაძე



## თორნიკე შარაშენიძე: „ელექტრონულ ხმის მიცემაზე უნდა გადავიდეთ“



არჩევნების შედეგებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე აფასებს.

***– ბატონო თორნიკე, წინასწარი პროგნოზები და ვარაუდები გამართლდა. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები პირველივე ტურში დიდი უპირატესობით მოიგო.***

– არ იყო მაღალი აქტივობა და ამიტომაც მოიგო.

***– შესაძლოა მეორე ტური რამდენიმე თვითმმართველ ქალაქში გახდეს საჭირო. კალაძეს მეორე ტური არ დასჭირდა. მეორე ადგილზე ალეკო ელისაშვილი გავიდა. რას იტყვით თქვენ?***

– ნახევარი პროცენტით ელისაშვილი იქნება წინ თუ უდუმაშვილი, ეს არაფერს ცვლის. ელისაშვილი ამტკიცებდა, რომ საერთოდ მოიგებდა. აქ მთავარი ის არის, რომ მოგებასთან ახლოსაც ვერ მივიდა. არც უნდა მისულიყო, გამომდინარე იმ კამპანიიდან, რომელიც მან წარმართა.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ მან თავის დროზე პოპულარობა მოიპოვა, როგორც მოჩხუბარმა პოპულისტმა, დარბოდა ყველგან და ჩხუბობდა, ბოლოს კი, არჩევნები რომ მოახლოვდა, ერთბაშად დასერიოზულდა. დასერიოზულდა და მისი რეიტინგიც დავარდა.

***– რატომ, ამომრჩეველს დასერიოზულებული აღარ მოეწონა?***

– არა. ხალხს სერიოზული ელისაშვილი არ სჭირდება. ხალხს სჭირდება მოჩხუბარი ელისაშვილი. ეს იყო მისი სერიოზული შეცდომა. მე არ ვიცი, რატომ გაიპრანჭა ბოლოს. ეს ჩემთვის გაუგებარია. სწორედ ამის გამო დაკარგა რეიტინგი. თუმცა მისი მოგების შანსი ისედაც დაბალი იყო. ერთი ვარიანტი იყო, რომ მეორე ტურში გასულიყო ალეკო ელისაშვილი კალაძესთან ერთად. სხვა ვარიანტი არ არსებობდა და ეს ვარიანტიც ბოლომდე მოკვდა.

***– ვინ ურჩია ელისაშვილს, რომ ტაქტიკა შეეცვალა და აღარ ეჩხუბა?***

– როგორც ჩანს, ვიღაცამ ურჩია, აღარ იჩხუბოო და ისიც სერიოზული პოლიტიკოსის როლში შევიდა. სერიოზული ელისაშვილი კი ვის რაში სჭირდება?!

***– პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და უმრავლესობით შევა საკრებულოში. გაყალბებასა და უხეშ დარღვევებს რამდენად ჰქონდა ადგილი?***

– გაყალბება თვითონ ხმების დათვლის დროს ნაკლებად ხდება. მანამდე ხდება ამომრჩევლების დაშინება, ძველი ბიჭების ჩართვა საარჩევნო კამპანიაში, რომ მათ რაღაც ხმები მოიტანონ. ეს ძალიან სამარცხვინოა. აბა შენ უბნიდან რამდენ ხმას მოიტან და შენ – რამდენს. თვითონ პროცესში გაყალბება ძნელია. მადლობა ღმერთს, აღარ ვართ იმ სიტუაციაში, რომ დათვლის დროს ყალბდებოდეს. ეს ვაიუშველებელი ისტერიკები რომ არ იყოს ყოველი არჩევნების დროს, კითხვები რომ არ გაჩნდეს, უნდა გადავიდეთ ელექტრონულ ხმის მიცემაზე! ხალხს აიდი ბარათის აღარ ეშინია, დაიჯერა, რომ იქ ეშმაკი არ ბუდობს და ასე შემდეგ. უნდა გადავიდეთ ელექტრონულ ხმის მიცემაზე. ყველაფერი დაწყნარდება და დამშვიდდება. გაყალბების შანსი, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

***– ძველი ბიჭები ახსენეთ და მათი აქტიურობა თვალშისაცემი იყო ამ არჩევნებზე?***

– რომ მიდიოდა ე.წ. დაკაჩავება, ეს ჩვეულებრივი თვალით კარგად ჩანდა. ხმა უნდა მისცე „ჩვენებს“, თუ არ მისცემ, ხომ იცი, რაც გელის. ბევრს ეშინია ამის.

**2020-შიც იგივე სქემა იმუშავებს. რამაც გაამართლა ერთხელ, ის მეორედაც გაამართლებს, მით უმეტეს, ოპოზიცია სუსტია და მარტივ მამრავლებად არის დაშლილი. ოპოზიციას არ ჰყავს ძლიერი ქარიზმატული ლიდერები, რომლებიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ და ფულიც ნაკლები აქვთ, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. როგორც ვნახეთ, ბიზნესმა ფული ძირითადად „ქართულ ოცნებას“ შესწირა**

ერთ ისტორიას მოგიყვებით. სომხეთში ამერიკელებმა საარჩევნო უბნებზე დაამონტაჟეს კამერები, რათა გაეკონტროლებინათ პროცესი, რომ დარღვევები და გაყალბება არ ყოფილიყო. მმართველმა პარტიამ კი გენიალურად გამოიყენა ეს ამბავი. მათ გამოუცხადეს მოსახლეობას, ეს კამერები რომ დაყენდა, ამით ჩვენ გაგაკონტროლებთ, ვის მისცემთ ხმასო. ეს არის სამარცხვინო რეალობა. ხალხს განათლება და ინფორმირებულობა აკლია და ადვილად ხდება მისი დაშინება–მოტყუება.

***– ძირითადად დაძაბულობა მაინც მარნეულსა და ისეთ ქალაქებში იყო, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. სპეცრაზმიც იყო მარნეულში მობილიზებული, თუმცა სერიოზულ გართულებას არ ჰქონია ადგილი. აქ ვერ აკონტროლებს ხელისუფლება სიტუაციას?***

– მარნეულში მანამდე იყო დაძაბულობა. აქ ორი ფაქტორი თამაშობს როლს, პირველი, რომ მარნეულში დღემდე ინარჩუნებს გავლენას ნაცმოძრაობა თუ ყოფილი ნაცმოძრაობა და მეორე, მარნეულში არეულობა ძალიან საშიშია ეთნიკური განზომილების გამო. ეს ძალიან პრობლემატური იქნება.

***– საბოლოო სურათი როგორი იყო? დიდი როლი ითამაშა ადმინისტრაციულმა რესურსმა და ქუჩის ბიჭების ფაქტორმა?***

– ეს ორი ფაქტორი ისევ და ისევ მშვენივრად მუშაობს. ეს „ოცნების“ ინოვაცია არ არის, 90-იანი წლებიდან მუშაობს. ჩვენ რომ გვეგონა, ეს ძველი ბიჭები წავიდნენ და აქ ქურდულ სამყაროს გავლენა აღარ ჰქონდა, ასე არ ყოფილა. ძველი ბიჭების ფაქტორი ისევ ამუშავდა. აქ, როგორც ჩანს, კალაძის ფიგურაც თამაშობს როლს.

***– რა თვალსაზრისით?***

– კალაძე, როგორც ვიცით, ძველ ბიჭებთან მშვენიერ ურთიერთობაშია.

***– დახმარება აღმოუჩინეს პატივისცემის ნიშნად თუ ეს დავალება კალაძისგან ჰქონდათ მიღებული?***

– არა მგონია, უბრალოდ პატივსაცემად კეთდებოდეს. რა თქმა უნდა, რაღაც სამაგიეროს ელიან, სხვა თუ არაფერი.

***– გაკეთდა შეფასებები, რომ რადგან ეს არჩევნები დიდი წარმატებით მოიგო „ოცნებამ“, არც 2020 წელს გაუჭირდებათ არჩევნების მოგება. თქვენ რას იტყვით?***

– ბუნებრივია, 2020-შიც იგივე სქემა იმუშავებს. რამაც გაამართლა ერთხელ, ის მეორედაც გაამართლებს, მით უმეტეს, ოპოზიცია სუსტია და მარტივ მამრავლებად არის დაშლილი. ოპოზიციას არ ჰყავს ძლიერი ქარიზმატული ლიდერები, რომლებიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ და ფულიც ნაკლები აქვთ, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. როგორც ვნახეთ, ბიზნესმა ფული ძირითადად „ქართულ ოცნებას“ შესწირა.

***– რამდენი ვადით უნდა ვუყუროთ „ქართულ ოცნებას“?***

– რამდენი ვადითაც ქართველი ამომრჩეველი აიტანს. ჯერჯერობით იტანს. შაბათს ამომრჩეველი რომ დარაზმულიყო, მისულიყო და მიეცა ხმა კალაძის წინააღმდეგ, კალაძე ვერ გავიდოდა. კალაძე გავიდა იმიტომ, რომ ხალხი დარჩა სახლში, რადგან მან წესიერი ალტერნატივა ვერ დაინახა და ეს ფაქტი ოპოზიციამ უნდა აღიაროს.

***– ზაალ უდუმაშვილი ვერ იჯერებს, რომ ყოველმა მეორე თბილისელმა კალაძეს მისცა ხმა.***

– ყოველმა მეორემ – არა, მაგრამ ყოველმა მეოთხემ ნამდვილად მისცა. ამომრჩევლის ნახევარი მივიდა არჩევნებზე და იქიდან ნახევარმა ხმა კალაძეს მისცა. თბილისს აღარ უნდოდა არათბილისელი მერი, მაგრამ, რა არჩევანიც იყო, მათაც იქიდან აირჩიეს. ნაცმოძრაობა თბილისში არ უყვართ, ელენე ხოშტარია ჯერჯერობით ისეთი პოპულარული და ძლიერი ფიგურა არ არის, თუმცა თავი ნორმალურად წარმოაჩინა და ვინღა დარჩა? ელისაშვილზეც ვისაუბრეთ უკვე. ამიტომ, კალაძეზე რომ მიდგებოდა საქმე, ფაქტია. მართალია, არათბილისელია, მაგრამ ცოტა მოძველბიჭოა და მან თვითონ მიაღწია ყველაფერს. ეს ფაქტორი ხალხზე კარგად მოქმედებს. მოხდა ის, რისი მოლოდინიც იყო და ამას ყველა შეგუებული იყო.

***– საინტერესოა, ამის მერე რა მოხდება?***

– არც არაფერი მოხდება. ჯერჯერობით გავაგრძელებთ ცხოვრებას ჩვეულებრივად. ერთადერთი, რამაც შეიძლება დაამარცხოს „ქართული ოცნება“, ეს არის სააკაშვილის გაძლიერება უკრაინაში. თუ ის ხელისუფლებას ჩაიგდებს ხელში, აქ ნაცმოძრაობა ავტომატურად ძალიან გაძლიერდება. მეორე ვარიანტი, რამაც შესაძლოა „ოცნება“ დაასუსტოს, მათ წიაღში მწვავე კონფლიქტი იქნება.

# დავით ნარმანია: „ვრჩები გუნდში, ვრჩები საქართველოში“



თბილისის მოქმედი მერი დავით ნარმანია უარყოფს ინფორმაციას, თითქოს გერმანიაში საქართველოს ელჩად ინიშნება. ამის შესახებ დავით ნარმანიამ პირველ არხთან ინტერვიუში განაცხადა.

პირველი არხი დაინტერესდა, სად მიდის ნარმანია მერიიდან – გერმანიაში საქართველოს ელჩად თუ სემეკ-ში.

– პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ ვრჩები საქართველოში. რაც შეეხება კონკრეტულ პოზიციას, წავალ იქ, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად დავჭირდები და მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას. ვრჩები გუნდში და საქართველოში, – განაცხადა დავით ნარმანიამ პირველი არხის კითხვაზე საპასუხოდ.

**ნიუპოსტი**

# ენდიაის დამკვირვებლებმა არჩევნებზე სერიოზული დარღვევები დააფიქსირეს






აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა ტორნტორი აცხადებს, რომ ენდიაის დამკვირვებლებმა რამდენიმე საარჩევნო უბანზე სერიოზული დარღვევები დააფიქსირეს.

– არჩევნებმა ქვეყნის უმეტეს რაიონში უმეტესწილად მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ჩვენმა დამკვირვებლებმა დარღვევების რამდენიმე შემთხვევა გამოავლინეს. აღვნიშნეთ რომ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსები საუბრობდნენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე. რთულია მათი დასაბუთება მაგრამ მიგვაჩნია, რომ პრობლემა რჩება. ე.წ. კოორდინატორებზე შემიძლია გითხრათ, რომ ისინი საარჩევნო უბანზე ჩვენმა დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს. ჩემთვის გასაგებია, არის თუ არა ეს ქმედება კანონიერი ან უკანონო არჩევნების ფორმატში, მაგრამ მათმა ყოფნამ ნამდვილად შექმნა არასასიამოვნო გარემო ამომრჩევლებისთვის, – განაცხადა მან.

ენდიაის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის მიხედვით, „სახელმწიფოს მართვის ყველა დონეზე ერთპარტიული მმართველობა გამყარდა, რაც დემოკრატიის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, – ამის შესახებ ნათქვამია, რომელიც მედიას ენდიაის დელეგაციამ გააცნო“.

სადამკვირვებლო მისიის წევრები ხაზს უსვამენ, რომ ერთპარტიული მმართველობის ტენდენცია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ყველა მთავრობას ახასიათებს.

– ერთი პარტიის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაცია ქვეყანაში ძლიერი და პლურალისტური დემოკრატიის განვითარების შანსებს რისკის ქვეშ აყენებს. შექმნილ ვითარებაში ინკლუზიური მმართველობისა და დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების შექმნის პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, – აცხადებს ენდიაი.

მათი შეფასებით, არჩევნების დღემ, ძირითადად ინციდენტების გარეშე ჩაიარა – საქართველოს მოქალაქეებმა, საარჩევნო კომისიების წევრებმა, პარტიების აქტივისტებმა და კანდიდატებმა მშვიდი განწყობით შეძლეს დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგულების დამტკიცება. ხმების დათვლის პროცესმაც, ენდიაის აზრით, ძირითადად მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა დამკვირვებლებმა პროცედურების სერიოზული დარღვევის შემთხვევებიც დააფიქსირეს, რაც კომისიის წევრების მხრიდან პროცედურების არასათანადო ცოდნასა და პარტიებთან აფილირებული დამკვირვებლების დათვლის პროცესში ჩარევას უკავშირდებოდა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, ენდიაი ყურადღებას ამახვილებს უთანასწორობას მმართველი და ოპოზიციური პარტიების რესურსებს შორის, რამაც ჯანსაღ შეჯიბრებას ხელი შეუშალა.

**ნიუპოსტი**

# „თიანეთში არჩევნების ღამეს საშინელება მოხდა“

## თამაზ მეჭიაურმა ქართული დემოკრატია გადაარჩინა

შორენა მარსაგიშვილი

ყოფილი დეპუტატი თამაზ მეჭიაური თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული დემოკრატიის მხსნელად. ის ერთადერთი მერობის კანდიდატია, რომელმაც ხელისუფლების წარმომადგენელთან ბოლო ხმამდე იბრძოლა.

ცესკოს მიერ 22 ოქტომბერს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, თიანეთის თვითმმართველი თემის 20 უბნიდან 20-ვე უბანი დათვლილი იყო. მერის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატი თამაზ მეჭიაური 50,01%-ით ლიდერობდა. მას ხმა 3.077-მა ადამიანმა მისცა. მეჭიაური „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ ლელა ქიტესაშვილს მხოლოდ ერთი ხმით უგებდა. ქიტესაშვილს 3.076 ხმა ჰქონდა, რაც ხმების 49,9%-ია.



მოგვიანებით ცესკოს მონაცემები შეიცვალა. 22 ოქტომბრის 17 საათისთვის მეჭიაურს ისევ 3.077 ხმა ჰქონდა, ქიტესაშვილს კი 5 ხმა მოემატა და 3.081 გაუხდა. შესაბამისად, თამაზ მეჭიაურის შედეგი 49.97% გახდა, ქიტესაშვილის კი – 50,03%.

დღის ბოლოს ცესკო-ს ვებგვერდზე აიტვირთა თიანეთის №19 საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებაც, რომლის თანახმად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე, თიანეთის №20 უბანზე ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლა მოხდა.

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, ხელახალი გადათვლის შედეგად, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა 24-დან 19-მდე შემცირდა, შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა №20 უბნის შემაჯამებელ ოქმში და ლელა ქიტესაშვილი 4 ხმით დაწინაურდა.

ამ შედეგების დადებამდე თიანეთში მოვლენები დრამატულად განვითარდა. იქ სპეცრაზმის გაგზავნაც კი გახდა საჭირო. სპეცრაზმი იმ დროისთვის ჩაიყვანეს, როცა შედეგების შეჯამება დასასრულს უახლოვდებოდა.

„ახალი თაობა“ თამაზ მეჭიაურს მაშინ ესაუბრა, როცა იგი 50.01%-ით ლიდერობდა.

**თამაზ მეჭიაური:**

– აბა რა გითხრათ, ჯერ ისიც არ ვიცი, ვარ თუ არა გამარჯვებული. ცესკომ მონაცემები, მართალია, გამოაქვეყნა, მაგრამ შესაძლოა ისევ შეცვალონ. იმდენი რამე მოხდა თიანეთში, ეს არ გამიკვირდება და არც თქვენ გაგიკვირდეთ, თუ, როცა ეს ინტერვიუ გამოვა, თიანეთის მერად სხვა ჰყავდეთ გამოცხადებული.

***– ამ ყველაფრის მიუხედავად, თქვენ უკვე დაგასახელეს ქართული დემოკრატიის გადამრჩენლად.***

– რამდენად გადავარჩინე ქართული დემოკრატია, არ ვიცი, მაგრამ მე და ჩემმა მომხრეებმა ბოლომდე ვიბრძოლეთ. ეს იყო ძალიან მძიმე ბრძოლა და ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ვინც ამ ბრძოლაში ჩემ გვერდით იდგა.

***– მართალია, თქვენ „ქართულ ოცნებაში“ აღარ ხართ, მაგრამ რჩებით ბიძინა ივანიშვილის მეგობრად. ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია ის, რაც არჩევნების ღამეს თქვენთან დაკავშირებით ხდებოდა. გვიან ღამით თიანეთში სპეცრაზმიც კი ჩაიყვანეს. თქვენი აზრით, ამას ივანიშვილის ნებართვის გარეშე გაბედავდნენ?***

– ივანიშვილი ამ არჩევნებში საერთოდ არ ჩარეულა. აქ უფრო სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე. ჩემი გამარჯვება ადგილობრივ მოხელეებს არ აწყობდათ. ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა არჩევნებამდე დაიწყო, არჩევნების ღამეს კი საერთოდ საშინელება მოხდა. ის, რასაც თიანეთში ჰქონდა ადგილი, „ქართულ ოცნებას“ არ წაადგება.

***– სპეცრაზმის ჩამოყვანა რატომ გახდა საჭირო?***

– იმიტომ, რომ ჩემი კონკურენტისთვის გაეფორმებინათ გამარჯვება. არჩევნები რამდენიმე საათის დამთავრებული იყო, როცა ჩემმა წარმომადგენელმა დამირეკა და მითხრა, რომ საოლქო კომისიაში არ უშვებდნენ. სწორედ იქ იყო სპეცრაზმი მობილიზებული.

ამაზე მაშინვე მოვახდინე რეაგირება, მაგრამ რამდენიმე უწყებაში დამჭირდა დარეკვა, რომ სპეცრაზმი იქიდან გაეყვანათ. ჩარევის შემდეგ ჩემი წარმომადგენელი შევიდა საოლქო კომისიაში, სადაც ბევრი დარღვევა დახვდა. მაშინ გამოაცხადეს, რომ ჩემმა კონკურენტმა 4 ხმით მოიგო არჩევნები.

ამას სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა



და შედეგები ხელახლა გადათვალეს. აქ გამოჩნდა, რომ მე მოვიგე არჩევნები, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული არა ვარ. ეს შეიძლება რაღაც ხრიკი იყოს.

***– რა ხრიკი?***

– ხალხის ყურადღებას მოადუნებენ და გამარჯვებას ჩემს კონკურენტს გაუფორმებენ. მთელი ეს პერიოდი ამას აკეთებდნენ მხოლოდ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, ვინ იყო ჩემი კონკურენტის მხარდამჭერი. ისეთ ხალხთან მიჰქონდათ გადასატანი ყუთები, რომლებიც ძალიან სპორტულად გამოიყურებოდნენ. სამაგიეროდ, ჩემს მხარდამჭერებთან არ მიჰქონდათ ეს ყუთები.

მობილიზებული იყო მთელი ადმინისტრაციული რესურსი, ყველა ღონე იხმარეს, რომ არჩევნები ჩემს კონკურენტს მოეგო. ეს ბრძოლა სპეცრაზმის შემოყვანით დაასრულეს.

მართალია, ახლა ოპოზიციაში ვარ, მაგრამ „ქართული ოცნების“ მტერი არ ვარ.

ვერავინ მეტყვის, რომ მე „ოცნებას“ ვმტრობ, უბრალოდ, იქ არსებულ ნაკლოვანებებზე ვსაუბრობ. ამას მაშინაც ვაკეთებდი, როცა მმართველ გუნდში ვიყავი. მინდა, ყველას გავახსენო, სად იყვნენ ზოგიერთები, როცა მე თიანეთში „ქართული ოცნების“ ოფისი გავხსენი.

ეს იყო „ოცნების“ პირველი ოფისი არა მარტო თიანეთში, არამედ მთელ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. თიანეთი პატარაა და აქ ყველა ყველას იცნობს. ოფისის წინ რომ ვიდექი ხოლმე, ჩემი ნაცნობები ქუჩის იქითა მხარეს გადადიოდნენ და, სანამ ხელს ამიწევდნენ მოსასალმებლად, ჯერ აქეთ-იქით გაიხედავდნენ. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ეს ხალხი „ოცნებაში“ შევიდა, თანამდებობები დაირიგეს და ახლა მე მებრძვიან.

***– თქვენ ბოლომდე არ გჯერათ, რომ არჩევნების შედეგებს არ შეცვლიან, ამიტომ ასე გკითხავთ, თუ მართლაც გახდებით თიანეთის მერი, არ გაგიჭირდებათ მუნიციპალიტეტის მართვა?***

– რატომ უნდა გამიჭირდეს. სიძნელეების დაძლევის არ მეშინია და საქმის კეთებაც შემიძლია.

***– „ქართული ოცნება“ ან რაიონის მაჟორიტარი არ შეგიქმნიან პრობლემებს?***

– რაც შეეძლოთ, უკვე გააკეთეს. რატომ უნდა შექმნან პრობლემები, არ მესმის. მე საქმის კეთება მინდა.

***– შეძლებთ თიანეთის საკრებულოში „ოცნების“ უმრავლესობასთან თანამშრომლობას?***

– საკრებულოში „ოცნების“ გარდა სხვებიც მოხვდნენ. თანამშრომლობა რატომ ვერ უნდა შევძლო? მე „ოცნების“ მტერი არა ვარ. ვიღაც კონკრეტულ პიროვნებებს არ მოვწონვარ, მაგრამ ეს მთავარი არ არის. ჩემთვის ხალხია მთავარი.

❖ ❖ ❖

მას შემდეგ, რაც ცესკომ კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა შედეგები, კვლავ დავუკავშირდით თამაზ მეჭიაურს. ის იმედგაცრუებული ჩანდა, თუმცა ბრძოლის გაგრძელებაზე უარს არ ამბობს, მომხდარში მაჟორიტარ დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს ადანაშაულებს და ასეთ კომენტარს აკეთებს:



– ზაქარია ქუცნაშვილი ყელამდე წუმპეშია, კორუფციაშია ჩაფლული და ძალიან ცუდად დაამთავრებს. ამის გარანტიას ვიძლევი მე. ის პარლამენტსაც ვერ დაამთავრებს ბოლომდე. მაქსიმუმ მომავალ წლამდე ალბათ თვითონ „ქართული ოცნება“ გამოუყვანს მას წირვას.

# თბილისის საკრებულოში 4 პარტია შევიდა

დასაწყისი მე-2 გვერდზე



44.61% მიიღო. მეორე ტურში მისი კონკურენტი „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატი სანდრო ყამარაული იქნება, რომელმაც ხმების 26.88% მიიღო.

ბორჯომში მეორე ტურში მეოცნებეთა კანდიდატს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი დაუპირისპირდება.

აქ „ქართული ოცნების“ კანდიდატ ლევან ლიპარტიას ხმების 40.54% აქვს, პატრიოტთა ალიანსის კანდიდატ ზაზა ჩაჩანიძეს კი – 40.23%.

ხაშურში ბრძოლა დამოუკიდებელ კანდიდატსა და მეოცნებეს შორის იქნება.

აქ მმართველი პარტიის კანდიდატმა გიორგი გურასპაშვილმა ხმების 41.54% მიიღო, დამოუკიდებელმა კანდიდატმა რამაზ ნოზაძემ კი – 18.59%.

მარტვილში ბრძოლა მმართველ გუნდსა და მთავარ ოპოზიციას შორის გაიმართება.

„ქართული ოცნების“ კანდიდატ ალექსანდრე გრიგალავას აქ ხმების 49.76% აქვს, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ მამუკა დანელიას – 35.81%.

ოზურგეთში ხელისუფლების ფალავანს დამოუკიდებელი კანდიდატი დაუპირისპირდება.

აქ „ოცნების“ კანდიდატმა და იმავე დროს ქალაქ ოზურგეთის მოქმედმა მერმა ბეგლარ სიორიძემ 43.38% მიიღო, ხოლო დამოუკიდებელ კანდიდატ კონსტანტინე შარაშენიძეს, რომელიც 2012-2014 წლებში ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი იყო, მხარი ამომრჩეველთა 41.76%-მა დაუჭირა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შარაშენიძის წინააღმდეგ არჩევნების წინ სერიოზული კამპანია იქნა აგორებული.

# კარენ იონკერი: „მთლიანობაში, კენჭისყრის დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა“

ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ კარენ იონკერის განცხადებით, მმართველი პარტიის უპირატესი პოზიცია აშკარაა და ამან არჩევნების სხვადასხვა ასპექტზე ზეგავლენა მოახდინა.

მისივე თქმით, მთლიანობაში, კენჭისყრის დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა, თუმცა, უარყოფითად შეფასდა ზოგიერთ უბანზე ხმების დათვლის პროცესი.

– ჩვენ დავაკვირდით საარჩევნო პროცესს, სადაც საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო. მმართველი პარტიის უპირატესი პოზიცია აშკარაა და ამან არჩევნების სხვადასხვა ასპექტზე ზეგავლენა მოახდინა.

ამ უპირატესობას თან ახლავს პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა სუბიექტების შესაძლებლობები არ შეიზღუდოს. არჩევნების ეფექტურად ადმინისტრირება და ამომრჩეველთა ზუსტმა რეგისტრაციამ პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაში დიდი წვლილი შეიტანა. ამომრჩევლებსა და კანდიდატებზე ზეწოლის შემთხვევები იყო და ასევე დაფიქსირდა რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტიც. მიუხედავად იმისა, რომ მასმედია და სხვადასხვა პარტიებთან იყო აფილირებული, მედიის აქტიურობამ დებატების ზრდას მნიშვნელოვანი ხელი შეუწყო. მთლიანობაში, კენჭისყრის დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა, თუმცა, უარყოფითად შეფასდა ზოგიერთ უბანზე ხმების დათვლის პროცესი და ასევე დაფიქსირდა უწესრიგობები და სირთულეები შემაჯამებელი ოქმების შედგენასთან დაკავშირებით, – განაცხადა ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა კარენ იონკერმა.

მისივე თქმით, ცესკო საქმიანობას დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად ახორციელებდა.

– ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა უწყებები საქმიანობას დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად ახორციელებდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისია ზოგადად დაკავშირებული მხარეების ნდობით სარგებლობს, თუმცა ზოგიერთმა ოპოზიციურმა კანდიდატმა საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობა ეჭვის ქვეშ დააყენა. განსაკუთრებით იმის მიმართ, თუ როგორ იქნენ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, – განაცხადა იონკერმა.



**მედიანიუსი**

# „2020 წელსაც იგივე მოხდება“

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შედეგებსა და ამ შედეგებიდან გამომდინარე არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ,,პირველ რადიოსთან“ საუბრისას იურისტი ვალერი გელბახიანი აფასებს. მისი თქმით, არჩევნებმა აჩვენა, რომ თუ ოპოზიციამ კოორდინაცია არ მოახდინა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, შესაძლოა იგივე სურათი დარჩეს.

– არჩევნებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჯერჯერობით საქართველოს მოსახლეობა ისევ ენდობა და ხმას აძლევს ხელისუფლებას, თუმცა მაინც რჩება რიგი კითხვები, რომლებიც არჩევნების თავისუფლებისა და დემოკრატიის საკითხებს უკავშირდება. არადამაჯერებლად გამოიყურება ციფრები.

რაც შეეხება სამომავლოდ პოლიტიკურ ძალთა განლაგებას, პროცესმა აჩვენა, რომ თუ არ გაერთიანდა ოპოზიცია, მუდმივად არსებობს იმისი რეალური შანსები, რომ ოპოზიცია წააგებს და გაიმარჯვებს მმართველი პარტია. ამიტომ დასკვნების გაკეთებაა საჭირო. ოპოზიციის მხრიდან კოორდინაციის გარეშე, საერთო მოქმედების გეგმის გარეშე 2020 წლის არჩევნებზეც იგივე ვითარება შეიქმნება, – განაცხადა ვალერი გელბახიანმა ,,პირველ რადიოსთან“.

# როდის აშენდება და როგორი იქნება მირზაშაფი?

**მირზაშაფის პროექტის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას პროექტის ინვესტორი კომპანია ავრცელებს. პროექტის მიმდინარეობასა და ბიზნესჯგუფის სხვა საინვესტიციო მიმართულებებზე გადაცემა „საქმის კურსში“ კომპანიის დამფუძნებელი და კომპანია „ქართული ზეთისხილის“ ხელმძღვანელი გიორგი სვანიძე საუბრობს.**



***– ბატონო გიორგი, პროექტთან დაკავშირებით დღეს რა სახის სამუშაო მიმდინარეობს და მირზაშაფის პროექტის მშენებლობის ვადების დასახელება თუ არის შესაძლებელი?***

– სამშენებლო ნებართვები თითქმის ყველაფერი შეთანხმებულია. პროექტი 35%-ით შემცირდა, თითქმის განახევრებულია. არქიტექტორები როგორც აღნიშნავენ პროექტი ძალიან მოუხდა თავისი მცირე მასშტაბებით ამ ლამაზ კუთხეს აბანოთუბანში.

***– შენიშვნების პროცესი ამოწურულია?***

– რა თქმა უნდა, ძველი პროექტი აბსოლუტურად ჩაიხსნა, ორ ნაწილად გაიმიჯნა, შუაში გადმოვიდა ჩანჩქერი, პიაცა გაკეთდა და დიდი საზოგადოებრივი სივრცე, რაც ძალიან ეფექტურია და მოუხდა ადგილს.

***– ამჟამად რა ეტაპზეა პროექტის განხორციელება?***

– ამ ეტაპზე სატენდერო მასალებზე ვმუშაობთ, საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდება, რაშიც მსოფლიო დონის კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას და ტენდერის გამოცხადების შემდეგ უკვე პროექტის განხორციელება დაიწყება.

***– რას გვეტყვით თქვენი ბიზნესჯგუფის სხვა საინვესტიციო პროექტებზე? ვიცით ზეთისხილის მიმართულება, რომელიც საკმაოდ კარგად ვითარდება. დღეს რა ეტაპზეა პროექტი?***

– მოხარული ვარ, რომ ღმერთმა საქართველოში ზეთისხილის პლანტაციების და კულტურის შემოტანის ბედნიერება ჩვენ გვარგუნა. ჩვენ თურქი პარტნიორები გვყავს, ვისთანაც ერთად ვახორციელებთ ამ პროექტს. ეს პროექტი პატრიარქის კურთხევით განხორციელდა. ვფიქრობ, რომ ჩვენმა მომხმარებელმა ბაზარზე უკვე რეალურად ნამდვილი ქართული ზეითუნის ზეთი მიიღო. ეს სუფთა ნატურალური ზეთია და მომხმარებელს ვურჩევ, როდესაც დახლზე ზეთს დაინახავენ, აუცილებლად გადახედონ წარწერას, თუ რისგან შედგება პროდუქტი. დღესდღეობით საქართველოში შემოსულ, იმპორტულ ზეითუნის ზეთებში მხოლოდ 30%-ია ზეითუნის ზეთი და დანარჩენი დანამატებია. ქართული ზეითუნის ზეთი კი ის ნატურალური პროდუქტია, რომელიც დაკრეფილი, დაწურული და პირდაპირ გამოტანილია.

***– საექსპორტო მიმართულებით თუ ხართ დაინტერესებული?***

– ევროკავშირის ქვეყნებიდან პირველად მოთხოვნა ჰოლანდიიდან იყო და ამ წუთს ხელშეკრულების დონეზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჰოლანდია პირველი ქვეყანა იქნება და შემდგომ სხვა ევროპის ქვეყნებიც დაგვემატება. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკაშიც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენმა პროდუქტმა. შესაბამისად მოთხოვნაც არის. ამ ბაზრებს რუსეთი და ყაზახეთი ემატება. ექსპორტთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ოთხი მიმართულებით ვმუშაობთ. გარდა ამისა, „კარფურთან“ გვაქვს ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი და მთელ მის ქსელში ყველგან შევა ჩვენი ქართული პროდუქტი.

# რა შემთხვევაშია შესაძლებელი თქვენი გამოსახლება




მოქმედი კანონმდებლობა გამოსახლების ინსტიტუტს სხვისი ქონების უკანონოდ ფლობის ან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს.

საადვოკატო ბიუროს ინფორმაციით, თავდაპირველად გამოსახლების კომპეტენცია სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ მინიჭებული, დღეს კი გამოსახლებას ახდენს მხოლოდ აღმასრულებელი.

საადვოკატო ბიურო განმარტავს – თუ რა შემთხვევაში შეუძლია აღსრულების ეროვნულ ბიუროს მათი გამოსახლება:

1) თუ თქვენ უკანონოდ ფლობთ სხვის უძრავ ქონებას ან არ ასრულებთ თქვენზე დაკისრებულ ვალდებულებას, მესაკუთრეს/კრედიტორს თქვენი გამოსახლების მიზნით უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს; 2) თქვენ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას განხორციელდება თქვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია, ხოლო მესაკუთრისთვის ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემის უზრუნველყოფის მიზნით მოვალის გამოსახლებას განახორციელებს აღმასრულებელი.

თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება ან სხვა საგანგებო შემთხვევა) გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება.

თუ თქვენი გამოსახლება ხორციელდება კანონის მოთხოვნათა დარღვევით, თქვენ შეგიძლიათ გაასაჩივროთ აღმასრულებლის მოქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან 15 დღის ვადაში ან სასამართლოში 1 თვის ვადაში.

# რა ანაზღაურება აქვთ მერიაში დასაქმებულ მეთუნუქე-მეეზოვეს, ფანჯრის მწმენდავსა და მუშას



„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან ავალიშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე თბილისის მერიის ერთ-ერთი ააიპ-ის საშტატო ნუსხისა და თანამშრომლების ანაზღაურების შესახებ წერს.

მისი ინფორმაციით, ააიპ-ში დასაქმებულ მეთუნუქე-მეეზოვეს 400 ლარი აქვს; მეეზოვეს – 250 ლარი; ფანჯრის მწმენდავს – 200; სპეციალისტს (ენერგოწყალმომარაგება) – 300 ლარი; სანტექნიკოსს – 300; ელ.მექანიკოსს – 250; კომენდანტს – 800 ლარი; მუშას/დურგალს/მეეზოვეს – 500; გათბობის სისტემის სპეციალისტს – 400 ლარი; მუშას – 250; რადისტს/ატ.სპეციალისტს – 450; მუშას – 400; ტექნიკ/რადისტს – 150 ლარი.

ამასთან, პოსტის ავტორი „პროფესიების შეუთავსებლობაზეც“ საუბრობს და აღნიშნავს, რომ „არსებობს მეთუნუქე მეეზოვე და უბრალოდ მეეზოვე“.

# „თბილისური თავისუფლება ზოგჯერ შოკში გაგდებს“

## რამ გააკვირვა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი

– ბოლო დროს აზერბაიჯანელები, როცა საკუთარ ქვეყანას მეზობელ საქართველოს ადარებენ, პირდაპირ კრიტიკაზე გადადიან და ნეგატიურ შეფასებებს არ იშურებენ – ჩვენთან, ბაქოში, ყველაფერი ცუდი და ულამაზოა, თბილისი კი ბრწყინავსო. თავდაპირველად იწყებენ საზღვრით – ჩვენი მესაზღვრეები უხეშები არიან, პატივს არ გცემენ, ქართველები კი პირდაპირ თვალებში შემოგციცინებენ, საზღვარზე ხუთ წუთში გადადიხარო. გზები ხომ უმაღლესი დონისაა, პოლიციელები ქრთამს არ იღებენ, ყველგან სისუფთავეა, თბილისში ყველა გიღიმის, ხელისუფლება ზრუნავს ქალაქის ისტორიული სახის შენარჩუნებაზო... მოკლედ, სამოთხეაო, რა... ჰოდა, მე თვითონ გადავწყვიტე ამ ყველაფრის შემოწმება, – წერს აზერბაიჯანულ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ოლღა ბულანოვა, რომელიც საქართველოს ეწვია და თბილისი მოინახულა.



– თბილისში უკანასკნელად ათი წლის წინ ვიყავი, 2007 წელს. იმ დროს ქალაქმა ჩემზე მეტნაკლებად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ნეტავ ახლა როგორია სამოთხედ აღიარებული საქართველოს დედაქალაქი? ჰოდა, მეც გადავწყვიტე მისი მონახულება.

ჩვენი მატარებელი „ბაქო-თბილისი“ აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე გაჩერდა. შინაგანად ვიძაბები – აი, ახლა ჩვენი მშობლიური მესაზღვრეები შეგვამოწმებენ, დიდხანს მოგვაცდევინებენ, მაგრამ არა უშავს, მოვითმენ, სამაგიეროდ ქართველი მესაზღვრეები უცებ გაგვიშვებენ. თუმცა არა, პასპორტები ვაჩვენეთ, კომპიუტერებში შეამოწმეს, მებაჟეებიც სწრაფად მორჩნენ თავიანთ საქმეს და მატარებელი მკაცრად გრაფიკის მიხედვით – 45 წუთში დაიძრა საზღვრის ქართული საკონტროლო პუნქტისაკენ. ქართულ საზღვარზე კი ორი საათი გვალოდინეს. არანაირი კომპიუტერები იქ არ აქვთ, ყველაფერი ისეა, როგორც ათი წლის იყო. საბაჟოზეც მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ გამოუჩენიათ, უკანონოდ რაიმე რომ გადამეტანა, ვერავინ შეამჩნევდა....



თბილისის რკინიგზის სადგური. ერიჰაა... როგორიც იყო ათი (ან 20-30) წლის წინათ, იგივე დარჩენილა – ჭუჭყიანი, არეულ-დარეული... ვაგზლის წინ – მათხოვრები და ბომჟები. სისუფთავე მხოლოდ ბილეთების დარბაზში და პერონზე შეინიშნება. და უცებ – ჰოი, საკვირველებავ! – თანამედროვე სუპერმარკეტებს ხედავთ – თითქოსდა 90-იანი წლებიდან დროის მანქანით მოგზაურობ! სამწუხაროდ, დროის მანქანის შეგრძნებას განსაკუთრებით მიწისქვეშა გადასასვლელებით სარგებლობისას ამჩნევ – სუპერმოუწყობელი, სპეციფიკური „არომატით“, სიბინძურით, კედლებზე „სასიამოვნო“ წარწერებით, ბუზებით...

და ისევ დროის მანქანით მეტროში: სხვათა შორის ეს ერთადერთი ადგილია, სადაც დასახელება ლათინური ასოებითაა მოცემული, თორემ ისე ქალაქში ვერ მიხვდები – კაფეში შედიხარ თუ ფოტოატელიეში, ან ოფისში. როგორც ჩანს, თბილისის მეტრო გახსნის დღიდან – 1966 წლიდან არ გარემონტებულა. ცუდი განათება, ჭუჭყიანი კედლები, გაშავებული ჭერი და ნათურები გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. არადა, ასეთ არაკომფორტულ პირობებში მგზავრობაც რომ ძვირია? 50 თეთრი!

რაც შეეხება ძველი თბილისის უბნებს: ცენტრი და ის ადგილები, რომლებსაც ხელისუფლება უცხოელი ტურისტებისთვის ინახავს, მოვლილი და ლამაზია, ვერაფერს იტყვი. ჰოდა, ტურისტებიც ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ და ნასიამოვნები დადიან. ფაქტია, რომ თბილისში ბევრი ძველი შენობა და ევროპული არქიტექტურის ნიმუშებია შემონახული, ბაქოს ვერ შეადარებ. თბილისში ევროპული შენობების აგება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში გადაწყვიტეს.

მიდიხარ რუსთაველის გამზირზე და გგონია, რომ სანკტ-პეტერბურგში ხარ – ფართოდ გაშლილი ქუჩა და ორივე მხარეს ერმიტაჟის მსგავსი შენობები! ძალიან ლამაზია! მაგრამ ცოტა გვერდზე რომ გაუხვიო, ტურისტული მარშრუტებს გასცდე, მაგალითად, სოლოლაკის რაიონში, ისეთ საშინელებათა ფილმების სცენებში მოხვდები, რომ ჰიჩკოკი მიმიქარავს! ვაიმე, ეს რა ვნახე... დანგრეული და ნახევრად დანგრეული ფასადები, ბათქაშაცვენილი კედლები, სადაც „შიგნეული“ ჩანს – ძველი აგური. მიღრეცილ-დაბრეცილი კარები, სარკმლები და, რაც ყველაზე საშინელია – ბოძებშეყენებული აივნები, სახლის კედლები, რომლებიც წასაქცევად არიან განწირული, – წერს ავტორი.

– რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები, რომ თბილისს ცოტა ფული აქვს, ბაქოს კი შედარებით მეტი. მაგრამ რაც გაქვს, ის ხომ გააზრებულად უნდა გამოიყენო? რატომ რეალიზდება გაუგებარი და უცნაური პროექტები? რას წარმოადგენს ის ორი გიგანტური მილი, რომელიც რიყეზე გაწოლილი? ვერ გაიგებ, მუზეუმია თუ თეატრი... ფული თუ ხიდისთვის გამოინახა, ძველმა უბნებმა რა დააშავა? სხვათა შორის, ის მინის ხიდიც საკმაოდ ნეგატიურად მოჩანს თბილისის პეიზაჟში – ისევე როგორც სხვა „თანამედროვე“, მაგრამ უშნო მინა-ბეტონის ცათამბჯენები. თბილისელები ხიდის გამო ხუმრობენ – მიხეილ სააკაშვილმა ფრთიანი „ოლვეისი“ დაგვიტოვაო... მერწმუნეთ, მსგავსება მართლაც საოცარია.

თბილისში, ბაქოსთან შედარებით, ხალხი უფრო თავისუფლად, უფრო გაღიმებული დადის. მაგრამ ეს თავისუფლება ზოგჯერ შოკში გაგდებს, როცა უყურებ, როგორ კოცნაობენ საჯაროდ ახალგაზრდები, როგორ გამომწვევად არიან ჩაცმულნი... ქალები კი უსაშველოდ ეწევიან, თანაც ყველგან – ქუჩაში, შენობებში, შეხვედრებზე... ვის როგორ, მაგრამ ჩემი აზრით, ქართველ ქალებს თამბაქო ძალიან შეჰყვარებიათ“.

მოკლედ, ვრცელ სტატიაში ავტორი კიდევ ბევრ პოზიტიურ თუ ნეგატიურ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას, მაგალითად, მომსახურების დაბალ დონეზე, უხამსობაზე და ა.შ.

„ყველაფრის მიუხედავად, თბილისი მაინც ლამაზი ქალაქია. აუცილებლად უნდა წახვიდე და დაათვალიერო. იქაური ნანგრევიც კი ათასწლეულების მომსწრეა. თუმცა საწყენია, რომ ბაქოელები საკუთარს არ აფასებენ და სხვისას აქებენ. ჩვენ პატრიოტობას ვივიწყებთ, რომლითაც ქართველებს ვერ შევედრებით“, – წერს ავტორი სტატიის დასასრულს.

# მეუღლესა და არასრულწლოვან შვილზე ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს




შსს-მ ოჯახში ძალადობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1979 წელს დაბადებული გ.გ., ოჯახში ძალადობის ბრალდებით, რუსთავში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს – 1983 წელს დაბადებულ ა.გ.-ს და მეორე არასრულწლოვან შვილს, 2010 წელს დაბადებულ შ.გ.-ს, რის შესახებაც დაზარალებულმა ქალბატონმა პოლიციას აცნობა. დადგინდა, რომ გ.გ.-მ მეუღლის მიმართ ანალოგიური ქმედება არაერთხელ ჩაიდინა.

სამართალდამცველებმა გ.გ. საკუთარ ბინაში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება არასრულწლოვანის თანდასწრებით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრისა და არასრულწლოვანის მიმართ ძალადობისა და სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით)“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# წყალტუბოში „წითელ ნუსხაში“ დაცული სვავი მოკლეს — იდენტიფიცირებულია დამნაშავე ორი პირი



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სვავის (Aegypius monachus) სახეობის ფრინველის მოკვლის ფაქტი გამოავლინეს.

შემთხვევა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მოხდა. ფოტოზე ასახული ორივე პიროვნება იდენტიფიცირებულია. მათ ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება. გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის ოდენობამ 2.500 ლარი შეადგინა.

ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საგამოძიებო ორგანოს გადაეგზავნება.

# 24 წლის ეკა ნაქევხრიშვილის დაკრძალვაზე მისმა მაზლმა, გურამ გურასპიშვილმა, თვითმკვლელობა ცადა



ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში 40 წლის მამაკაცმა თვითმკვლელობა ცადა, მაგრამ თვითმკვლელობის მცდელობას მეზობელი შეესწრო და უგონო მდგომარეობაში მყოფი გურამ გურასპიშვილი მალევე ჩამოხსნეს.

მამაკაცი თელავის რეფერალური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა გურასპიშვილების ოჯახში 24 წლის ეკა ნაქევხრიშვილის დაკრძალვის პროცესია მიმდინარეობდა. გოგონა გასულ კვირას გარდაცვლილი იპოვეს.

გურასპიშვილი ნაქევხრიშვილის ქმრის ძმაა.

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში 24 წლის ეკა ნაქევხრიშვილი 18 ოქტომბერს ოჯახის წევრებმა სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს. ქალი შიშველი იყო და სხეულზე მრავლობითი დაზიანება ჰქონდა.

როგორც ირკვევა, ქალს ხშირად ჰქონდა კონფლიქტი ოჯახში.

ოჯახის წევრების განცხადებით, მიყენებული დაზიანებები ეჭვებს აჩენს, ექსპერტიზას კი ამ დრომდე არ დაუდგენია, გოგონა მოკლეს და თვითმკვლელობის ინსცენირება მოახდინეს თუ ორი შვილის დედამ თავი მოიკლა.

ორივე შემთხვევაში საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული.

# ცოლის ქამრით ცემაში ბრალდებული სასამართლო სხდომის შემდეგ გაათავისუფლეს



მეუღლის ქამრით ცემაში ბრალდებულს მოსამართლემ განაჩენი 18 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე გამოუტანა. გიორგი კეთილაძე მარიკა ჩიტაშვილმა დამნაშავედ ცნო და სასჯელის ზომად სამთვიანი პატიმრობა და ერთწლიანი პირობითი მსჯავრი შეუფარდა.

ბრალდებულმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წინასწარი პატიმრობის სახით სამი თვე გაატარა, ამიტომ კეთილაძე სასამართლო სხდომის დასრულებისთანავე გათავისუფლდა.

1990 წელს დაბადებულ გიორგი კეთილაძეს ბრალდების მხარე 126-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ოჯახის წევრის მიმართ ძალადობას ედავებოდა.

ბრალდებული თავს დამნაშავედ ცნობდა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებას სთხოვდა. პროკურატურა დაცვის მხარის შუამდგომლობას არ დათანხმდა.

პოლიტიკა

# სენატორი ჯეიმს რიში: „საქართველო ნატოს კრიტერიუმებს ბოლომდე ჯერ ვერ აკმაყოფილებს“

– ნატოს კარი ღიაა და საქართველო ნატოს წევრი მაშინ გახდება, როცა მზად იქნება, – აცხადებს ამერიკის სენატის საგარეო საქმეებისა და დაზვერვის კომიტეტების წევრი სენატორი ჯეიმს რიში. იგი ამბობს, რომ დემოკრატიის აშენება ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც მოთმინება და ყველა მხარის ხედვის გათვალისწინება სჭირდება.

„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტთან სენატორი საქართველოზე, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებსა და უკრაინაზე საუბრობს.

***– ბატონო სენატორო, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების რა ზოგად შეფასებას გააკეთებდით ამ ეტაპზე?***

– ურთიერთობა ისეთი კარგი არ არის, როგორც წარსულში იყო, თუმცა ამას, ვფიქრობ, ორივე მხარე შეეჩვია და ვისწავლეთ როგორ გავართვათ თავი ამ მდგომარეობას. ზოგიერთ სფეროში კონკრეტული საერთო ინტერესები გვაქვს, მაგრამ ასევე გვაქვს დიდი განსხვავებებიც. საერთაშორისო სცენაზე რუსები საკუთარ თავს იმისგან განსხვავებულად ხედავენ, ვიდრე ამას ჩვენ – ამერიკელები ვხედავთ. ამ პოზიციის გასამყარებლად ისინი ფარული და ღია მეთოდებით ცდილობენ სხვადასხვა მთავრობაზე გავლენის მოპოვებას. ეს განსაკუთრებით არჩევნებში გამოიხატება. ეს კი ჩვენს შორის სირთულეებს იწვევს, რადგან ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ ქვეყანას გარე ჩარევის გარეშე უნდა შეეძლოს მოქმედება.

***– თქვენ დაზვერვის კომიტეტის წევრი ხართ, რომელიც რუსეთის მხრიდან ამერიკის არჩევნებში სავარაუდო ჩარევას იძიებს. რა მოლოდინი გაქვთ ამ გამოძიებისგან?***

– კომიტეტში ჩვენ შევისწავლეთ დიდძალი ინფორმაცია და ვესაუბრეთ ბევრ ხალხს. საბოლოო ჯამში, გამოვაქვეყნებთ ანგარიშს, რომელიც ამბობს იმას, რაც თითქმის ყველას მიერ უკვე ნათქვამია – რუსებმა სცადეს აქტიური ზომები მიელოთ ჩვენს არჩევნებზე გავლენის მოსახდენად. ასევე ვცდილობთ დავადგინოთ, თანამშრომლობდა თუ არა მათთან ვინმე ამერიკაში. არ მგონია, რომ ამ გამოძიებამ ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბოს, მაგრამ ასევე არ მგონია, რომ ის რამეს გააუმჯობესებს. ჩვენს შორის ურთიერთობა ალბათ იგივე მდგომარეობაში დარჩება.

***– თქვენი აზრით, ადმინისტრაციამ უკრაინას ლეტალური იარაღი უნდა მისცეს?***

– როგორც იცით, სენატში ამ საკითხს კენჭი ვუყარეთ და მე მას მხარი დავუჭირე. ჩემი პოზიცია უცვლელია – უკრაინას თავდაცვითი იარაღი უნდა მივცეთ. ისინი ძალიან რთულ ვითარებაში არიან – რუსეთის საზღვარზე დიდი რაოდენობით ეთნიკურად რუსი მოსახლეობით. ეს ქვეყნის მართვას ძალიან ართულებს.

***– უჭერთ თუ არა მხარს ნატოს ღია კარის პოლიტიკას?***

– კი. კარი ღიაა, მაგრამ შესვლამდე აუცილებელია წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილება. მე ამას 100 პროცენტით ვუჭერ მხარს. კრიტერიუმები დემოკრატიას, თავდაცვისუნარიანობას, თავდაცვაზე დანახარჯებს უკავშირდება.

***– ნატოს წევრობის კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას?***

– დიახ! მაგრამ როგორც თქვენ თქვით, აქ საკვანძო ფრაზა კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა. საქართველოსთან დიდი ხანია დიალოგი გვაქვს ნატოში გაწევრიანებაზე და საქართველო ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე მუშაობს. ქვეყანას დიდი პროგრესი აქვს, თუმცა წევრობის კრიტერიუმებს ბოლომდე ჯერ ვერ აკმაყოფილებს. თუმცა, ერთ დღეს, როცა ამას გააკეთებენ, ისინი ნატოს წევრი გახდებიან.

***– საქართველოს პარლამენტმა ცოტა ხნის წინ კონსტიტუციის შეცვლას დაუჭირა მხარი. როგორც წინა ხელისუფლების დროს, ამჯერადაც საკონსტიტუციო პროცესში ყველა მხარე არ იყო ჩართული. რას ფიქრობთ ამაზე, თქვენი აზრით, პროცესების ასეთი განვითარება დემოკრატიის გამყარებას ხელს უწყობს?***

– ჩემს მოსაზრებას გაგაცნობთ, მაგრამ არ მინდა იფიქროთ, რომ ქართველ ხალხს რამენაირად ჭკუას ვასწავლი. ამის არანაირი განზრახვა არ მაქვს. როგორც იცით, მე საქართველოში 2012 წლის არჩევნებს დავესწარი. არჩევნები შთამბეჭდავად ჩატარდა და არ ყოფილა გაყალბება. დაკვირვების მიზნით, ჩვენ ყველაფერზე გვქონდა წვდომა. საქართველო წინ მიიწევს. ერთი რაც უნდა გვახსოვდეს ის არის, რომ დემოკრატიის აშენებას დრო სჭირდება და ეს ერთ ღამეში არ ხდება. მას დაღვინების პროცესი სჭირდება, რომელიც ზოგჯერ თაობების მანძილზე გრძელდება. საქართველო წინ მიიწევს და ჩვენ ამ წინსვლის გაგრძელების დანახვა გვსურს.

ახალ კონსტიტუციას რაც შეეხება, განსაკუთრებით ისეთ გარემოში, სადაც ორი დომინანტური პოლიტიკური ძალაა, ძალიან მნიშვნელოვანია მხარეები დასხდნენ და კომპრომისის გამოყენებით მივიდნენ საბოლოო შეთანხმებამდე იმაზე, თუ როგორი ფორმით სურთ ქვეყნის მართვა. ამერიკაში ასეთ საკითხებს ამ მეთოდით ვართმევთ თავს. ეს საკმაოდ რთული და დაძაბული პროცესია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ყველას ეძლევა საშუალება საკუთარი წვლილი შეიტანოს ცვლილებების დანერგვაში.



***– რუსეთი სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის შეცვლას ბევრი მეთოდით ცდილობს. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რთ (ყოფილი „რაშა თუდეი“) და „სპუტნიკი.“ თქვენი აზრით, ისინი უცხო ქვეყნის აგენტად უნდა დარეგისტრირდნენ შეერთებულ შტატებში?***

– ოერტეზე რომ გადართავ ტელევიზორს, დიდი ხანი არ გჭირდება იმის მისახვედრად, რომ ეს არ არის ამერიკის მიმართ მეგობრულად განწყობილი არხი. ეს რუსეთის მთავრობის არხია, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის აგენტია და უნდა დარეგისტრირდეს, როგორც უცხო ქვეყნის აგენტი. მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. რომ დარეგისტრირდნენ, მერე რა? ყველამ იცის, რომ ისინი რუსეთის პროპაგანდის მანქანის ნაწილია. მოკლედ რომ გიპასუხოთ, დიახ, უნდა დარეგისტრირდნენ, მაგრამ ამას, სავარაუდოდ, არანაირი შედეგი არ მოჰყვება.

***– თუმცა, ამით რუსეთს ძლიერი პოლიტიკური მესიჯი გაეგზავნება...***

– გარკვეულწილად. არა მგონია, პუტინმა ამის გამო ძილი დაკარგოს.



# ქსენია სობჩაკი მინსკში ჩავიდა

რუსეთის პრეზიდენტობის პრეტენდენტი, სკანდალებითა და სასიყვარულო თავგადასავლებით ცნობილი ქსენია სობჩაკი მინსკში ჩავიდა. ბელორუს საზოგადოებასთან შეხვედრისას მან განაცხადა:



– დღეს მინსკი სხვა ქვეყნის დედაქალაქია, თუმცა ამას ვერც ჩვენ და ვერც ბელორუსები ვერ შევეგუეთ! შინაგანად ჩვენ ერთნი ვართ!

სობჩაკმა ხაზი გაუსვა, რომ ბელორუსები მუდამ წყნარი და მშრომელი ხალხი იყო, რომელთაც სლავური ერთიანობის გრძნობა არასოდეს ღალატობდათ.



– მეორე მსოფლიო ომის დროს ბელორუსიაში ძლიერი პარტიზანული მოძრაობა გაიშალა. უკრაინელები ნაცისტებს სუფრით დახვდნენ, ბელორუსები კი მათ ებრძოდნენ! დღეს უკრაინელი ტყვიას გვესვრის, ბელორუსი კი კვლავ ჩვენთანაა! – თქვა სობჩაკმა.

ქსენიამ განაცხადა, რომ მალე პრეზიდენტად აირჩევენ და ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა ბელორუსის დემოკრატიზაცია დაიწყოს.

– პუტინი თვალს ხუჭავს იმაზე, რომ ბელორუსში პოლიციური რეჟიმია დამყარებული! მე ასე არ მოვიქცევი, – შეჰპირდა საზოგადოებას ქსენია.



სოციარია, მაგრამ სობჩაკი ამ სიტყვების გამო ბელორუსიიდან არ გააძევეს. მისი რეიტინგი ამ ქვეყანაში სულ 3 პროცენტია. ლევადა-ცენტრის მონაცემებით, ყველაზე მეტი მომხრე ბელორუსში პუტინს ჰყავს. მას მხარს მოსახლეობის 36% უჭერს. მეორე ადგილს კვლავ საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ინარჩუნებს. რაც შეეხება ლუკაშენკოს, ის მესამე ადგილზეა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კიმ ჩენ ინი შესაძლოა გააქრონ?!



ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ მაიკ პომპეოს აზრით, ჩრდილოეთ კორეიდან მომდინარე საფრთხე იზრდება.

– არ გამოვრიცხავ, რომ აშშ-ზე ბირთვული დარტყმა მართლაც განხორციელდეს! – თქვა პომპეომ.

დაზვერვის შეფმა აღნიშნა, რომ ეს მის უწყებას აიძულებს, უფრო აგრესიული იყოს.

– თუ კიმ ჩენ ინი გაქრება, გთხოვთ, ამერიკელ მზვერავებს ზედმეტ შეკითხვებს ნუ დაუსვამთ, – ამბობს პომპეო.

# მადრიდმა კატალონიის მთავრობა გადააყენა



მადრიდში ესპანეთის მთავრობის სხდომა გაიმართა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კატალონიის ხელისუფლების გადაყენების შესახებ. ესპანეთის პრემიერმა რაჰოიმ განაცხადა:

– ჩვენ უფლება გვაქვს, შევაჩეროთ კატალონიის ავტონომია, თუკი ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნება.

პრემიერმა აღნიშნა, რომ გარდამავალ ეტაპზე კატალონიის პოლიცია მადრიდის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადავა. ექვსი თვის განმავლობაში კატალონიაში ახალი არჩევნები ჩატარდება. ხელისუფლებაშიც ახალი ძალები მოვლენ.

ესპანეთის მთავრობის განზრახვის პასუხად ბარსელონაში მასობრივი საპროტესტო აქცია გაიმართა.

მიტინგზე სიტყვა კატალონიის ლიდერმა პუჩდემონმა წარმოთქვა. მან ესპანეთის მთავრობის მოქმედებას არადემოკრატიული უწოდა. პუჩდემონი კვლავაც ამტკიცებს, რომ კატალონიაში რეფერენდუმი ჩატარდა და ხალხმა დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა.

– ჩემი აზრით, კატალონიის პარლამენტის სხდომა სასწრაფოდ უნდა მოვიწვიოთ, რათა ყველაფერს პოლიტიკური შეფასება მივცეთ, – ამბობს პუჩდემონი.

# ქაბულში ორმა შაჰიდმა თავი აიფეთქა



ავღანეთში ტერორისტების მკვეთრი გააქტიურება შეინიშნება. ქაბულის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე მეჩეთთან ტერორისტმა-შაჰიდმა თავი აიფეთქა. შედეგად 50-მდე ადამიანი დაიღუპა.

ეს აქცია ერთადერთი არ ყოფილა. კიდევ ერთმა შაჰიდმა სამხედრო აკადემიასთან აიფეთქა თავი. შედეგად 15 კურსანტი დაიღუპა.

# ნავალნი: „ციხეში 20 დღეში 20 წიგნი წავიკითხე და 80 ლიტრი ჩაი დავლიე“



რუსი ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი 20-დღიანი პატიმრობის შემდეგ გათავისუფლდა. ამის შესახებ მან ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე დაწერა.

„გამოვედი. 20 დღეში 20 წიგნი წავიკითხე, ყირგიზულ ენაზე რამდენიმე სიტყვა ვისწავლე, 80 ლიტრი ჩაი დავლიე და, სულ მცირე, 60-ჯერ მოვუსმინე რადიოში ერთსა და იმავე სიმღერას. მზად ვარ სამუშაოდ“, – დაწერა ნავალნიმ.

29 სექტემბერს ალექსეი ნავალნი საკუთარი სახლის სადარბაზოში დააკავეს, როდესაც ის ნიჟნი ნოვგოროდში მიტინგზე მიემართებოდა, რის შემდეგაც პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს და ადმინისტრაციული ოქმი შეადგინეს.

3 ოქტომბერს მოსკოვის სიმონოვის რაიონულმა სასამართლომ ალექსეი ნავალნის მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების ორგანიზების წესის მრავალჯერადი დარღვევისთვის 20-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამო ისევ დამაჯერებლად ლიდერობს

**დილა-დინამო (თბ) 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ფანცულაია (40), 1:1, 1:2 თოთაძე (82პ, 90)

**დილა:** მუჯრიშვილი, ფოფხაძე, რაზმაძე, წიქარიძე (ნუბიო 76), ნონიკაშვილი, ფანცულაია (მოდებაძე 72), აბუბაქარი (პაპავა 46), კირკიტაძე, კვახაძე, პედრინიუ, მორასი

**დინამო:** ლიტოვჩენკო, გეგეჭკორი, სალუქვაძე, თოთაძე, კობოური, ქარდავა, ზარია (ქოჩლაძე 66), შულაია (კუცია 90), კიტეიშვილი, მიქელთაძე, ქავთარაძე

დრამატული გამოდგა გორის დილასა და თბილისის დინამოს დაპირისპირება. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა 2 განსხვავებული ტაიმი იხილა.

პირველ ნახევარში გორელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და მე-40 წუთზე გიორგი ფანცულაიას მიერ გატანილი გოლის წყალობით ტაიმის მოგებაც მოახერხეს. თუმცა მეორე ნახევარში დინამოელებმა თამაში გამოასწორეს და სრულ უპირატესობას დაეუფლნენ. დედაქალაქელებმა წონასწორობა 83-ე წუთზე აღადგინეს. ბექა ქავთარაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად ლაშა თოთაძემ შეასრულა – 1:1.

დარჩენილ დროში დინამომ კიდევ უფრო აქტიურად შეუტია და მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. გორელთა მეკარემ, მიხეილ მუჯრიშვილმა, რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია. დინამოელებმა გამარჯვების გოლი მატჩის ბოლო წუთზე გაიტანეს. ლაშა თოთაძემ საჯარიმო დარტყმით დაახლოებით 35 მეტრიდან მოახერხა მეტოქის კარის აღება და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოუტანა.

**კოლხეთი-ტორპედო 1:2**

**ფოთი. პარკი არენა**

0:1 კაპანაძე (12), 1:1 ჯანელიძე (59), 1:2 კუხიანიძე (77პ)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია, გურეშიძე, გოგონაია, ნონდი, ბროვკო, ჯანელიძე, ჟიშკარიანი, მაჩარია, ბოლქვაძე (ბახია 86), ბუხაიძე

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, კაპანაძე (მამასახლისი 80), კუხიანიძე, ფალავანდიშვილი, გ.გურული, კუტალია (ტულუში 53), დოლიძე (კორობკა 62), ქიმაძე, კუჭუხიძე

**გაძევება:** ტულუში (83)

საკუთარ ქალაქში დაბრუნება უიღბლო გამოდგა ფოთის კოლხეთისთვის. ფოთელებმა ქუთაისის ტორპედოს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 1:2 დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეს კოლხეთის ზედიზედ მე-16 მოუგებელი შეხვედრაა. მატჩი სტუმართა აქტიურობით დაიწყო და პირველი გოლიც მათ გაიტანეს. მე-12 ლაშა კუჭუხიძის გადაცემის შედეგად კარის წინ ფაქტიურად მარტო დარჩენილმა თორნიკე კაპანაძემ ძლიერად დაარტყა და კოკა სეფიაშვილს შანსი არ დაუტოვა.

მთელი მატჩის განმავლობაში ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ტორპედო ფლობდა, ფოთელები კი ძირითადად კონტრშეტევებზე ცდილობდნენ თამაშს. თუმცა მეორე ტაიმის რამდენიმეწუთიან მონაკვეთში კოლხეთმა თამაშის შეცვლა მოახერხა და მეტოქეს აქტიურად შეუტია. 59-ე წუთზე გიორგი ჯანელიძე შორეული დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. გოლიდან რამდენიმე წუთში მასპინძლებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ დავით ბოლქვაძის დარტყმა ძელმა მოიგერია.

ფოთელთა აქტიურობის მიუხედავად, კახა ჩხეტიანის გუნდმა ინიციატივა მალევე დაიბრუნა და 77-ე წუთზე გიორგი კუხიანიძემ ზუსტად შესრულებული პენალტით ტორპედო კვლავ დააწინაურა.

დარჩენილ დროში თამაში საკმაოდ დაიძაბა, მატჩის მიწურულს ქუთაისელები სულაც კაცნაკლული დარჩნენ მოედანზე, მაგრამ იმერლებმა მათთვის სასურველი ანგარიში შეინარჩუნეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ.



**ლოკომოტივი-საბურთალო 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 სიხარულიძე (28პ), 1:1 შინდაგორიძე (41)

**ლოკომოტივი:** ქურდაძე, ჭანტურია, ანდრონიკაშვილი (ვარძელაშვილი 79), სიხარულიძე, ნ.ქავთარაძე, გვალია, არველაძე (გაბრიჩიძე 60), გაბაძე (ჩიტეიშვილი 71), კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, ნადარაია (თედ.გრიგალაშვილი 60), მამუჩაშვილი (ბიძინაშვილი 68), შინდაგორიძე, ხარაიშვილი, ცნობილაძე, თარხნიშვილი, ვოლკოვი, მუეცი (კოხრეიძე 63)

თბილისის ლოკომოტივმა მიმდინარე სეზონში თანაქალაქელი საბურთალოს დამარცხება ვერც მეოთხე ცდაზე მოახერხა, თუმცა ამჯერად ფრედ – 1:1 ითამაშა.

პირველ ნახევარში ორივე გუნდი აქტიურობდა და სახიფათო მომენტები მრავლად იქმნებოდა, მეორე ნახევარში კი, ტემპი შედარებით დაეცა და თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა.

ანგარიში ლოკომ გახსნა, 28-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად ირაკლი სიხარულიძემ შეასრულა და ეროვნული ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 24-ე გოლი გაიტანა.

საბურთალოელებმა წონასწორობის აღდგენა ტაიმის მიწურულს მოახერხეს. 41-ე წუთზე ლაშა შინდაგორიძემ შეტევის მარჯვენა ფლანგზე მიიღო ბურთი, ტექნიკური მოძრაობით მცველი ჩამოიშორა და ძლიერი დარტყმით ბექა ქურდაძეს ახლო კუთხეში გაუტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 30 | 20 | 5 | 5 | 71-26 | 65 |
| 2.ტორპედო | 30 | 18 | 7 | 5 | 47-23 | 61 |
| 3.სამტრედია | 30 | 17 | 7 | 6 | 49-31 | 58 |
| 4.ლოკომოტივი | 30 | 15 | 4 | 11 | 55-39 | 49 |
| 5.საბურთალო | 30 | 14 | 5 | 11 | 51-37 | 47 |
| 6.ჩიხურა | 30 | 13 | 4 | 13 | 36-46 | 43 |
| 7.დილა | 30 | 9 | 7 | 14 | 35-43 | 34 |
| 8.დინამო (ბთ) | 30 | 10 | 2 | 18 | 25-48 | 32 |
| 9.კოლხეთი | 30 | 4 | 8 | 18 | 28-59 | 20 |
| 10.შუქურა | 30 | 2 | 7 | 21 | 28-73 | 13 |

# სუპერლიგაში პირველი რეგიონული დერბი გაიმართა

**რუსთავი-დელტა 96:78**

**(23:17, 34:19, 22:19, 17:23)**

ქვემო ქართლი ჩვენი ქვეყნის პირველი რეგიონია, რომელიც უმაღლეს ლიგაში 2 გუნდითაა წარმოდგენილი და პირველად შედგა ქვემოქართლური დერბი. რუსთაველებმა სუპერლიგის დებიუტანტს, მარნეულის დელტას უმასპინძლეს.

რუსთავმა პირველი პერიოდი 23:17 მოიგო, ხოლო გარდატეხა მეორეში მოახდინა. ათწუთეული მასპინძლებმა 34:19 მოიგეს და სტუმრებს დაანახეს, რომ წარმატების შანსი მინიმალური ჰქონდათ. რუსთაველები მეტოქეს როგორც პერიმეტრზე, ისე სამწამიან ზონაში სჯობნიდნენ. ადამ ბლეიზეკმა, რევაზ ჩაჩანიძემ და გიგი გოგობერიშვილმა სტუმრებს სამქულიანების სეტყვა დაატეხეს, ხოლო ფარქვეშ ტაირელ ნელსონი და პოლ კუპერი ოპონენტებს არაფერს უთმობდნენ და მესამე პერიოდში მასპინძელთა ლიდერობამ 30 ქულას მიაღწია.

შეხვედრის ბოლო წუთებზე რუსთავის მწვრთნელმა სასტარტო ხუთეულის წევრები მოედნიდან გაიხმო და შანსი სათადარიგოებს მისცა, რითაც მარნეულელებმა ისარგებლეს და ჩამორჩენა 12 ქულამდე შეამცირეს. ბოლო 2 წუთში მოედანს რუსთაველი ლეგიონერები დაუბრუნდნენ და თამაში მანამდელ კალაპოტს დაუბრუნეს.

საბოლოოდ რუსთავმა 96:78 იმარჯვა. მასპინძლებს 20-20 ქულით ადამ ბლეიზეკმა და ტაირელ ნელსონმა ულიდერეს. ბლეიზეკმა სულაც საოცარი სტატისტიკა დააფიქსირა და სამმაგ დუბლამდე 2 პასი დააკლდა. კანადელმა ლეგიონერმა სუპერლიგის რეკორდი დაამყარა და 10 ჩაჭრა მიითვალა.

5 სამქულიანი და მთლიანობაში 17 ქულა ჩააგდო რეზო ჩაჩანიძემ, ხოლო გიგი გოგობერიშვილის ანგარიშზე 14 ქულა დაგროვდა. დელტაში 20 ქულით ნიკ ნილი გამოირჩა, რომელმაც 7-დან 7 ორქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. 18 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა დეანდრე რეიმ, ხოლო ზვიად ანთაძის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა.

**ქუთაისი-ბათუმი 78:67**

**(15:16, 23:23, 25:10, 15:18)**

თამაში პირველივე წუთებიდან საინტერესოდ წა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ზაზასა და გოლდენის მოგება-წაგება



ზაზა ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა 2 მატჩი გამართეს და მოგებას წაგება შეუნაცვლეს.

გასული სეზონის ჩემპიონმა ჯერ ნიუ ორლეანში, პელიკანსთან ითამაშა და სეზონის პირველი გამარჯვება იზეიმა – 128:120.

ზაზა საკმაოდ შედეგიანი იყო. ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 21 წუთი დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში 6-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მთლიანობაში ფაჩულიას 8 ქულა, 9 მოხსნა და 1 ჩაჭრა დაუგროვდა.

მომდევნო მატჩი კი გოლდენ სტეიტმა მემფისში გამართა და გრიზლისთან მარცხი განიცადა – 101:111.

ფაჩულია ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა მოედანზე 12 წუთი გაატარა და უქულოდ დარჩა. ზაზამ 2 ორქულიანი ააცილა, თუმცა 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

1 მოგებითა და 2 წაგებით გოლდენ სტეიტი საკრამენტოსთან ერთად დასავლეთ კონფერენციის 11-12 ადგილებს იყოფს. მომდევნო მატჩს ოკლენდელები დალასში გამართავენ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შედეგები

## 21 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-უოტფორდი ........ 4:2
ჰადერსფილდი-მანჩესტერი ........ 2:1
სიტი-ბარნლი ........ 3:0
ნიუკასლი-კრ.პალასი ........ 1:0
სტოკი-ბორნმუთი ........ 1:2
სუონსი-ლესტერი ........ 1:2
საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 9 | 8 | 1 | 0 | 32-4 | 25 |
| 2.მანჩესტერი | 9 | 6 | 2 | 1 | 22-4 | 20 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 17 |
| 4.ჩელსი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-10 | 16 |
| 5.უოტფორდი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-17 | 15 |
| 6.ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-8 | 14 |
| 7.არსენალი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 8.ლივერპული | 8 | 3 | 4 | 1 | 13-12 | 13 |
| 9.ბარნლი | 9 | 3 | 4 | 2 | 8-9 | 13 |
| 10.საუთჰემპტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-9 | 12 |
| 11.ჰადერსფილდი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-10 | 12 |
| 12.ბრაიტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-10 | 10 |
| 14.ლესტერი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-14 | 9 |
| 15.სუონსი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-10 | 8 |
| 16.ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-13 | 8 |
| 17.ვესტ ჰემი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| 18.სტოკი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-20 | 8 |
| 19.ბორნმუთი | 9 | 2 | 1 | 6 | 6-13 | 7 |
| 20.კრ.პალასი | 9 | 1 | 0 | 8 | 2-19 | 3 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ფულემი ........ 2:1
ბარნსლი-ჰალი ........ 0:1
ბოლტონი-ქპრ ........ 1:1
ბრენტფორდი-სანდერლენდი ........ 3:3
ბრისტოლი-ლიდსი ........ 0:3
ვულვზი-პრესტონი ........ 3:2
დერბი-უენსდი ........ 2:0
მიდლსბრო-კარდიფი ........ 0:1
ნოტინგემი-ბარტონი ........ 2:0
შეფილდი-რედინგი ........ 2:1
მილუოლი-ბირმინგემი ........ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლევანტე-ხეტაფე ........ 1:1
ბეტისი-ალავესი ........ 2:0
ვალენსია-სევილია ........ 4:0
ბარსელონა-მალაგა ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 0 | 26-3 | 25 |
| 2.ვალენსია | 9 | 6 | 3 | 0 | 25-10 | 21 |
| 3.რეალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 4.ატლეტიკო | 8 | 4 | 4 | 0 | 13-5 | 16 |
| 5.ბეტისი | 9 | 5 | 1 | 3 | 19-17 | 16 |
| 6.სევილია | 9 | 5 | 1 | 3 | 9-8 | 16 |
| 7.ლეგანესი | 8 | 4 | 2 | 2 | 7-3 | 14 |
| 8.სოსიედადი | 8 | 4 | 1 | 3 | 19-17 | 13 |
| 9.ვილიარეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 10.სელტა | 8 | 3 | 2 | 3 | 18-13 | 11 |
| 11.ბილბაო | 8 | 3 | 2 | 3 | 10-9 | 11 |
| 12.ლევანტე | 9 | 2 | 5 | 2 | 9-11 | 11 |
| 13.ხეტაფე | 9 | 2 | 3 | 4 | 11-10 | 9 |
| 14.ესპანიოლი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-11 | 9 |
| 15.დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 9-16 | 8 |
| 16.ეიბარი | 8 | 2 | 1 | 5 | 3-17 | 7 |
| 17.ხირონა | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| 18.ლას პალმასი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-18 | 6 |
| 19.ალავესი | 9 | 1 | 0 | 8 | 3-14 | 3 |
| 20.მალაგა | 9 | 0 | 1 | 8 | 4-20 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-კადისი ........ 1:0
ნუმანსია-გრანადა ........ 1:3
ლორკა-ტენერიფე ........ 2:2
სევილია ბ-სარაგოსა ........ 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლაიფციგი-შტუტგარტი ........ 1:0
გლადბახი-ლევერკუზენი ........ 1:5
აინტრახტი-დორტმუნდი ........ 2:2
აუგსბურგი-ჰანოვერი ........ 1:2
ჰამბურგი-ბაიერნი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 9 | 6 | 2 | 1 | 25-7 | 20 |
| 2.ბაიერნი | 9 | 6 | 2 | 1 | 22-7 | 20 |
| 3.ლაიპციგი | 9 | 6 | 1 | 2 | 16-10 | 19 |
| 4.შალკე | 9 | 5 | 1 | 3 | 12-9 | 16 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-10 | 15 |
| 6.ჰანოვერი | 9 | 4 | 3 | 2 | 10-7 | 15 |
| 7.აინტრახტი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-9 | 14 |
| 8.გლადბახი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-17 | 14 |
| 9.ლევერკუზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 20-14 | 12 |
| 10.აუგსბურგი | 9 | 3 | 3 | 3 | 12-10 | 12 |
| 11.მაინცი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-15 | 10 |
| 12.შტუტგარტი | 9 | 3 | 1 | 5 | 6-11 | 10 |
| 13.ჰერტა | 8 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 |
| 14.ვოლფსბურგი | 8 | 1 | 5 | 2 | 8-11 | 8 |
| 15.ჰამბურგი | 9 | 2 | 1 | 6 | 6-15 | 7 |
| 16.ფრაიბურგი | 8 | 1 | 4 | 3 | 5-16 | 7 |
| 17.ვერდერი | 8 | 0 | 4 | 4 | 3-9 | 4 |
| 18.კიოლნი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-17 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ბოხუმი ........ 1:0
უნიონი-ფიურტი ........ 3:1
კილი-არმინია ........ 2:1

**იტალია. სერია ა**

სამპდორია-კროტონე ........ 5:0
ნაპოლი-ინტერი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 9 | 8 | 1 | 0 | 26-5 | 25 |
| 2.ინტერი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-5 | 23 |
| 3.იუვენტუსი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-7 | 19 |
| 4.ლაციო | 8 | 6 | 1 | 1 | 21-10 | 19 |
| 5.სამპდორია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-9 | 17 |
| 6.რომა | 7 | 5 | 0 | 2 | 14-5 | 15 |
| 7.ბოლონია | 8 | 4 | 2 | 2 | 8-8 | 14 |
| 8.ტორინო | 8 | 3 | 4 | 1 | 14-13 | 13 |
| 9.კიევო | 8 | 3 | 3 | 2 | 9-9 | 12 |
| 10.მილანი | 8 | 4 | 0 | 4 | 12-13 | 12 |
| 11.ფიორენტინა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-11 | 10 |
| 12.ატალანტა | 8 | 2 | 3 | 3 | 13-13 | 9 |
| 13.უდინეზე | 8 | 2 | 0 | 6 | 13-15 | 6 |
| 14.კალიარი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-14 | 6 |
| 15.ვერონა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-16 | 6 |
| 16.კროტონე | 9 | 1 | 3 | 5 | 6-19 | 6 |
| 17.ჯენოა | 8 | 1 | 2 | 5 | 8-13 | 5 |
| 18.სპალი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-14 | 5 |
| 19.სასუოლო | 8 | 1 | 2 | 5 | 4-15 | 5 |
| 20.ბენევენტო | 8 | 0 | 0 | 8 | 2-19 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-ემპოლი ........ 1:0
პალერმო-ნოვარა ........ 0:2
პარმა-ვირტუსი ........ 3:1
პესკარა-აველინო ........ 2:1
პრო ვერჩელი-კარპი ........ 0:0
სალერნიტანა-ფროზინონე ........ 1:1
სპეცია-პერუჯა ........ 4:2
ტერნანა-ასკოლი ........ 1:1
ჩეზენა-ფოჯა ........ 3:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-კაენი ........ 2:0
ამიენი-ბორდო ........ 1:0
ანჟე-ტულუზა ........ 0:1
მეცი-დიჟონი ........ 1:2
ნანტი-გენგამი ........ 2:1
რენი-ლილი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 9 | 8 | 1 | 0 | 29-6 | 25 |
| 2.მონაკო | 10 | 7 | 1 | 2 | 26-12 | 22 |
| 3.ნანტი | 10 | 6 | 2 | 2 | 9-7 | 20 |
| 4.მარსელი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-15 | 17 |
| 5.სტ.ეტიენი | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 6.ლიონი | 9 | 4 | 4 | 1 | 20-15 | 16 |
| 7.ბორდო | 10 | 4 | 4 | 2 | 16-15 | 16 |
| 8.მონპელიე | 10 | 4 | 3 | 3 | 8-6 | 15 |
| 9.კაენი | 10 | 5 | 0 | 5 | 7-8 | 15 |
| 10.ტულუზა | 10 | 4 | 2 | 4 | 11-15 | 14 |
| 11.გენგამი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-14 | 13 |
| 12.ანჟე | 10 | 2 | 6 | 2 | 14-12 | 12 |
| 13.ტრუა | 9 | 3 | 3 | 3 | 9-9 | 12 |
| 14.ნიცა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-14 | 10 |
| 15.რენი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-15 | 9 |
| 16.ამიენი | 9 | 3 | 0 | 6 | 5-11 | 9 |
| 17.დიჟონი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-20 | 9 |
| 18.სტრასბური | 9 | 1 | 3 | 5 | 9-17 | 6 |
| 19.ლილი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-14 | 6 |
| 20.მეცი | 10 | 1 | 0 | 9 | 5-19 | 3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-რეიმსი ........ 0:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ბრედა-ზვოლე ........ 0:2
ვენლო-დენ ჰააგი ........ 0:2
ექსელსიორი-სპარტა ........ 1:1
ტვენტე-როდა ........ 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფეირენშე-რიუ ავე ........ 1:0
სეტუბალი-მარიტიმუ ........ 3:1
პორტუ-ფერეირა ........ 6:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

სკა ენერგია-უფა ........ 2:2
ტოსნო-როსტოვი ........ 1:1
რუბინი-დინამო ........ 0:0
სპარტაკი-ამკარი ........ 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-თუნი ........ 2:1
ციურიხი-გრასჰოპერსი ........ 0:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

პარტიკი-დანდი ........ 2:1
როსი-ჰამილტონი ........ 2:1
ჰართსი-სტ.ჯონსონი ........ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-მატერსბურგი ........ 3:2
ალტახი-ვოფსბერგერი ........ 3:2
სტ.პოლენი-ლინცერი ........ 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ლოკერენი-შარლერუა ........ 1:1
სტ.ტრუიდენი-ოსტენდე ........ 1:0
ეუპენი-მეხელენი ........ 4:1
კორტრაიკი-გენტი ........ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-იანინა ........ 1:1
კერკირა-პანეთოლიკოსი ........ 1:0
ლამია-პანათინაიკოსი ........ 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ოსმანლი-ქარაბუქი ........ 3:0
აკხისარი-გენჩლერი ........ 3:3
მალათია-ტრაბზონი ........ 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ტეპლიცე-კარვინა ........ 1:0
იაბლონეცი-სპარტა ........ 0:3

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

სანდეცია-კრაკოვია ........ 1:1
პოგონი-ნეცეჩა ........ 2:3
ლეხია-ლეხი ........ 3:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლიმპიკი-ზვეზდა ........ 1:0
ოლექსანდრია-ვერესი ........ 1:1
ვორსკლა-კარპატი ........ 0:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-სონდერიისკე ........ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ესკილსტუნა-ელფსბორგი ........ 2:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

ალესუნდი-კრისტიანსუნდი ........ 1:1

# მთიულეთში მაღალი ძაბვის მშენებარე ხაზი ხანდოს ხეობასა და ფასანაურზე აღარ გაივლის



500-კილოვატიანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ქსანი-სტეფანწმინდა" ხანდოს ხეობასა და დაბა ფასანაურის ტერიტორიაზე აღარ გაივლის. მოსახლეობის ხანგრძლივი პროტესტის შემდეგ სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მარშრუტი შეცვალა. ელექტროგადამცემ ხაზს მდინარე არაგვის მარცხენა სანაპიროს ფერდობებზე გადაიტანენ.

„ქსანი-სტეფანწმინდის" მშენებლობის პროექტს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დავალებით, მისივე შვილობილი კომპანია შპს „ენერგოტრანსი" ახორციელებს.

სამშენებლო სამუშაოები 2016 წელს დაიწყო. მაღალი ძაბვის მშენებარე ხაზი მთიულეთში ათამდე სოფელს კვეთდა და საცხოვრებელი სახლებიდან რამდენიმე ათეული მეტრით იყო დაშორებული. ადგილობრივები შიშობდნენ, რომ ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივების შედეგად სხვადასხვა დაავადებების გავრცელების რისკები იზრდებოდა.

მაღალი ძაბვის მშენებარე ხაზის მიმართულების შეცვლის მოთხოვნით მთიულებმა არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს, რამდენჯერმე მშენებლობის პროცესი შეაჩერეს კიდეც. პოლიციამ აქციის მონაწილეები დააკავა, 2-ჯერ სპეცრაზმის მობილიზაციაც მოხდა. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას" მხარდაჭერით მოსახლეობამ სასამართლოში სარჩელიც შეიტანა. სასამართლო დავის მიუხედავად, ენერგეტიკის ამჟამინდელი მინისტრი ილია ელოშვილი აცხადებდა, რომ ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას წინ ვერავინ დაუდგებოდა და ის აუცილებლად აშენდებოდა. მოსახლეობის პროტესტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც გამოეხმაურა. პატრიარქმა ხელისუფლებას მოუწოდა, მოსახლეობის მოთხოვნებზე შემხვედრი ნაბიჯები გადაედგა და სადაც შესაძლებელია, ხაზის გასაყვანად ალტერნატიული მარშრუტები შემუშავებულიყო. წინასაარჩევნოდ სამშენებლო სამუშაოები დროებით შეჩერდა. ხელისუფლება მთიულებს მათი მოთხოვნების გათვალისწინებას დაჰპირდა.

17 ოქტომბერს, გარემოს დაცვის სამინისტრომ „ქსანი-სტეფანწმინდის" შეცვლილი მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წინასწარი ვერსია გამოაქვეყნა.

ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი პროექტით დაცული იყო უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან ხაზის დაცილების ნორმირებული მანძილები, „ენერგოტრანსის" მიერ მიღებულ იქნა ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დერეფნის შეცვლის გადაწყვეტილება. იცვლება 133-ე და 162-ე საყრდენებს შორის მოქცეული მონაკვეთი, სულ 12.6 კილომეტრი.

## შეცვლილი მარშრუტის დეტალური აღწერა

ანგარიშის მიხედვით, ალტერნატიული ხაზი იწყება 133-ე ანძიდან, რომელიც მდებარეობს მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროს ზედა ნიშნულებზე, სოფელ ხამუშას მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მონაკვეთზე საპროექტო ხაზის დერეფანი გადის ხშირი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაცილება კი 150 მეტრია. შემდეგ ხაზი უხვევს აღმოსავლეთის მიმართულებით, გადაკვეთს საქართველოს სამხედრო გზას, მდინარე არაგვს და ადის არაგვის მარცხენა სანაპიროს მაღალ ნიშნულებზე.

ელექტროგადამცემი ხაზი მიემართება სოფელ ბანცურის მიმდებარე ტერიტორიისკენ და სოფლიდან 600-650 მეტრის დაცილებით გაივლის. სოფელ ბანცურამდე ხაზი გადაკვეთს ერთ ბუნებრივ ხევს. აქედან ხაზი მიემართება სოფელ ცხვედიეთის მიმართულებით, რომელსაც გაუვლის აღმოსავლეთის მხრიდან არანაკლებ 300-350 მეტრის დაცილებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სოფელ ბანცურში მუდმივი მოსახლეობა არ არის, ხოლო სოფელ ცხვედიეთში მუდმივად ერთი მოსახლეა.

ცხვედიეთთან ხაზი გადაკვეთს ბუნებრივ ხევს და გრძელდება ჩრდილოეთის მიმართულებით, ხეობის მაღალ ნიშნულებზე სოფელ დიხჩოს მიმართულებით.

ნახაზი 4.1.1. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა




სოფელ ბახანის ერთ-ერთი უბნის განაპირა საცხოვრებელი სახლიდან, რომელიც მდინარე არაგვის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე მდებარეობს, ხაზი დაცილებული იქნება 150-160 მეტრით, ხოლო სოფელ დიხჩოს განაპირა საცხოვრებელი სახლიდან არანაკლებ 500 მეტრით.

დიხჩოს მიმდებარე ტერიტორიიდან ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი ეშვება მდინარე შავი არაგვის კალაპოტისაკენ, მდინარის გადაკვეთა მოხდება სოფელ წინამხრის ქვედა დინებაში, საიდანაც ხაზი ადის მდინარის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე, გადაკვეთს საავტომობილო გზას და შედის წიწვოვანი სახეობებით გატყიანებულ კორომში. ამის შემდეგ ხაზი გაივლის სოფელ წინამხრის მიმდებარედ არსებული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთის მხრიდან. ჩრდილოეთის მხრიდან შემოუვლის სოფელ წინამხარს და შეუერთდება ძირითადი პროექტის დერეფანს.

„ენერგოტრანსის" მტკიცებით, როგორც ეკლესიიდან, ასევე სოფელ წინამხრის განაპირა საცხოვრებელი სახლიდან დაცილების მანძილები არ იქნება 300-350 მეტრზე ნაკლები. მათივე განცხადებით, ეკლესიიდან დაცილების მანძილი არქეოლოგიური დასკვნის მიხედვით განსაზღვრულია არანაკლებ 50 მეტრით, მაგრამ დაცილების მანძილი გაიზარდა ე.წ. „ხატის ტყის" დაცვის მიზნით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ ელექტროგადამცემი ხაზი გაივლის დიდი დახრილობის ფერდობებზე, სადაც გზების გაყვანა და საყრდენებისთვის სამშენებლო მოედნების მომზადება დაკავშირებული იქნება ეროზიული პროცესების მაღალ რისკებთან, რაც საჭიროებს მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2017 წლის 4 დეკემბერს, 14:00 საათზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაიმართება.

**მთის ამბები**

## სკანვორდი



1. ქალაქი რაჭაში; 2. ... მატიე; 3. ... ნიკიტინი (მოგზაური); 4. ჩანაფიქრი; 5. ომის უკუსიდიდე (ფიზიკა); 6. ალგორითმული ენა; 7. შუქფარი; 8. პარკოსანი მცენარე; 9. დაცლილი ვაზნა; 10. საპალტოე ქსოვილი; 11. ძაღლის ჯიში; 12. ლათინური ანბანის ასო; 13. მეორე ნოტი; 14. ...-მუსიკა; 15. აღმოსავლური ორთაბრძოლა; 16. შაქრის სუროგატი; 17. რისამე ჩასაწერი დავთარი; 18. ტაბლეტი; 19. რამის აღმნიშვნელი წინსართი; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. „... დაიდარდო!"; 22. წიწვოვანი ხე; 23. ინდოელი კინორეჟისორი; 24. შლამის თევზი; 25. სესხი; 26. ესპანელი აზნაური; 27. პატარა მზვერავი გემი; 28. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 29. ტურგენევის მოთხრობა; 30. მცირე არია; 31. სამოსელზე დაკერებული დაწნული ზონარი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნალმი; 3. სიბარიტი; 4. კეხანა; 7. დიუნა; 9. ბელგა; 12. „ბრიჯსტოუნი"; 14. ჯოყოლა; 15. „მეეზოვე"; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. კუროსავა; 6. ფრიკასე; 8. კომოციო; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. პრეტორი; 16. ბარიტონი; 18. ფუქსი; 19. პენსი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. მირკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „პობედა"; 2. წუღა; 3. შემოქმედი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 8. რობენი; 9. მინანქარი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად:** 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. მიკოზი; 10. ცანა; 11. ჰეკმანი; 13. წნორი; 15. რუბიკი; 17. ყირმიზი; 18. ბუტიკი; 19. „ფაუსტი"; 20. ლიქიორი.

## ასტროპროგნოზი 23 ოქტომბერი



**ვერძი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **კურო** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **ტყუპები** – ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. **კირჩხიბი** – ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **ლომი** – დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა საჩქაროდ გამოასწორეთ. **ქალწული** – შორს გამგზავრება სხვა დროისათვის გადადეთ. დაუმთავრებელი საქმეები დღეს უნდა დაასრულოთ. **სასწორი** – კონფლიქტი გელით ახალგაცნობილ ადამიანებთან. ნებისმიერი ურთიერთობისას დიპლომატიურობა გმართებთ. **ღრიანკალი** – მიღებული ინფორმაცია გეგმებს ძირფესვიანად შეგიცვლით. ნებისმიერი ურთიერთობა სიდინჯესა და შორსმჭვრეტელობას მოითხოვს. **მშვილდოსანი** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **თხის რქა** – დილით ქრონიკული დაავადებები მწვავდება. საღამოს უკეთეს ფორმაში ჩადგებით და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ფხიზლად იყავით, საღად იაზროვნეთ. **თევზები** – იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. კარგი იქნება განმარტოება, სეირნობა სუფთა ჰაერზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ლიანა ისაკაძე თვითმკვლელობაზე ფიქრობს

მას შემდეგ, რაც ცნობილ ქართველ მევიოლინეს ლიანა ისაკაძეს მეუღლე გარდაეცვალა, ის ხშირად არის დეპრესიაში და თავის მოკვლაზე ფიქრობს.

ამ უქმეებზე მევიოლინემ სოციალურ ქსელში მოკლე სტატუსი გამოაქვეყნა:

– ზაკონჩუ ჟიზნ სამოუბისტვომ – სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებ.

სტატუსის გავრცელების შემდეგ ლიანა ისაკაძის ათასობით გულშემატკივარმა მუსიკოსს გადაწყვეტილების გადაფიქრება სთხოვა და უსაზღვრო სიყვარულში გამოუტყდა.



როგორც ფესტივალ „ღამის სერენადების“ დირექტორმა ლაშა ბაშარულმა განაცხადა, მევიოლინეს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხშირად აქვს რთული პერიოდები:

– მეუღლის გარდაცვალების გამო, სამწუხაროდ, ქალბატონ ლიანას ხშირად აქვს დეპრესია... უკეთაა ახლა... ხანდახან აქვს ხოლმე ასეთი დეპრესიული შეტევები, როცა ძალიან ნერვიულობს... არ ინერვიულოთ, ახლა უკეთაა...

ლიანა ისაკაძის მეუღლე, თამაზ ჩაჩავა, ამ ზაფხულს ფესტივალ „ღამის სერენადების“ საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტზე პირველი განყოფილების შემდეგ გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა.

# გრიგოლ ყიფშიძემ საბავშვო ევროვიზიისთვის სიმღერა ჩაწერა

საქართველოს წარმომადგენელმა საბავშვო ევროვიზია 2017-ზე გრიგოლ ყიფშიძემ საკონკურსო სიმღერა ჩაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო.



სიმღერას „გულის ხმა“ ეწოდება და მისი ავტორი კომპოზიტორი გიგა კუხიანიძეა. სიმღერისთვის ტექსტი მომღერალმა თემო საჯაიამ დაწერა. ვიდეორგოლის გადაღებები პირველი არხის მთავარ პავილიონში გაიმართა. ვიდეორგოლში გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად ბექვოკალში ოთხი გოგონა მღერის.

ქართველი კონკურსანტების მიერ საბავშვო ევროვიზიის სამჯერ მოგების შემდეგ კონკურსი წელს საქართველოში ჩატარდება. საბავშვო ევროვიზიის რიგით მე-15 კონკურსს 26 ნოემბერს თბილისის ოლიმპიური სასახლე უმასპინძლებს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ევროპის 16 ქვეყნის წარმომადგენელი ახალგაზრდა ვარსკვლავი ეწვევა.

# სად ნახეთ 50-ლარიანი ბილეთი?!

ბიორკის თბილისურმა კონცერტებმა ხელოვანებში პროტესტი გამოიწვია.



31 ოქტომბერსა და 3 ნოემბერს მსოფლიოში ცნობილი ისლანდიელი მომღერალი ბიორკი თბილისში ორ კონცერტს გამართავს.

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზსა და ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული კონცერტების ბილეთის ფასი 50-დან 750 ლარამდეა.

სწორედ ბილეთის ფასი გააპროტესტებს ხელოვანებმა. მათი მტკიცებით, ყველა ის ადამიანი, რომლებსაც ბიორკის შემოქმედება ნამდვილად უყვართ, ვერ შეძლებს კონცერტზე დასწრებას, რადგან ხელოვანებს ბილეთში ამდენი ფულის გადახდა არანაირად არ შეუძლიათ.

თბილისურ კონცერტებთან დაკავშირებით ბიორკმა უკვე გაავრცელა სპეციალური ვიდეომიმართვა და საქართველოში ჩამოსვლის უდიდესი სურვილი გამოთქვა. ბიორკი მსმენელის წინაშე საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანხლებით წარდგება და ქართველ მსმენელს უახლეს ნამუშევარს წარუდგენს. კონცერტები მოიცავს არტისტის რამდენიმე საკვანძო სიმღერასაც მისი მუსიკალური წარსულიდან. ორივე კონცერტის ფარგლებში შესრულდება ახალი სიმღერებიც.

კონცერტის ორგანიზატორთა განცხადებით, ბიორკი საქართველოში სტუმრობისას ქართული მუსიკის გაცნობის მიზნით სვანეთს, აჭარას, გურიასა და კახეთს ესტუმრება.

– ბიორკი ისეთი არტისტია, რომელსაც უბრალოდ კონცერტების ჩატარება არ აინტერესებს ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, რომელსაც გააჩნია უდიდესი მუსიკალური მემკვიდრეობა. ჩვენ შევთავაზეთ მას და ის სიხარულით დათანხმდა საქართველოში მუსიკალურ ექსპედიციას. ამ ექსპედიციის ფარგლებში ბიორკი გაეცნობა ქართული მუსიკის ოთხ სხვადასხვა ფორმას და იმოგზაურებს ქვეყნის ოთხ რეგიონში: სვანეთში, ზემო აჭარაში, გურიასა და კახეთში, – აცხადებს კონცერტის ორგანიზატორი სანდრო ლომინაშვილი.

მისივე ინფორმაციით, თბილისში ბიორკის კონცერტზე მსმენელი ძალიან შორი მანძილიდან მოდის. ევროპული ქვეყნების გარდა, ბიორკის კონცერტების ბილეთებს ყიდულობენ მადაგასკარსა და მავრიტანიაში.

**მებო ნუცუბიძე, მომღერალი:**

– ბიორკის კონცერტის ბილეთები კი არ ღირს ძვირი, ჩვენ ვართ ღარიბები.

**სტეფანე მღებრიშვილი, მომღერალი:**

– ადამიანებმა, რომლებსაც უცხოელ არტისტებთან მუშაობისა და მათი ჩამოყვანის გამოცდილება აქვთ, იციან, რომ ძვირიანი პროექტები არ უნდა ჩამოიყვანონ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, თუ სპონსორებს მთლიანი ხარჯი დაფარული არ აქვთ. ბილეთის ფასი ყოველთვის უნდა იყოს ადეკვატური. ამით დაცული ხარ, რომ იმ არტისტის ნამდვილი გულშემატკივარი მოვა და არა ის, ვისაც ბილეთის ფული აქვს და ის მუსიკა შეიძლება ეკიდოს კიდეც. კი, ლას ვეგასში უფრო ძვირიც ღირს რაღაც კონცერტები, მაგრამ ყველა ქვეყანას საკუთარი ხვედრი აქვს...

**რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი:**

– მესამე იარუსის ბოლო რიგის ბილეთი 250 ლარი ღირს და თითქმის სულ გაყიდულია... მერე კი 450, 650, 700 და 750 ლარი. სად ნახეთ 50-ლარიანი ბილეთი?! ეს არის უნამუსობა! ვისთვისაა ეს ბილეთები?! და ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: რამდენი გადაიხადა ამაში სახელმწიფომ?!

**მაია დარსმელიძე, მომღერალი:**

– ყველაზე სასაცილო, იცით, რა არის? ბილეთი ისეთი ძვირია, რომ ის სეგმენტი, რომელიც მუსიკასთან ყველაზე ადეკვატურ დამოკიდებულებაშია, ფიზიკურად ვერ იყიდის და ბიორკის კონცერტზეც ისინი მივლენ, ვინც ლეფსისა და შუფუტინსკის კონცერტზე დადიან. აი, მუსიკის ბაიბურში რომ არ არიან, მაგრამ ფული რომ აქვთ და საგანგებო ვი აი პი ლოჟაში რომ დასხდებიან იმავე სახით, როგორც ვირი ზის ბიბლიოთეკაში.

# ბახვა ბრეგვაძე და ლიკა ქორქია ახალ მუსიკალურ შოუს წაიყვანენ




მსახიობი ბახვა ბრეგვაძე და მოდელი ლიკა ქორქია ტელეკომპანია „იმედში“ ახალ მუსიკალურ შოუს წაიყვანენ.

„ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ – ასე ეწოდება მუსიკალურ პროექტს, რომელსაც ტელეკომპანია „იმედი“ თავის ეთერში სულ მალე გაუშვებს. პროექტისთვის შესარჩევი კონკურსების ჩატარება უკვე დაწყებულია.

ინფორმაცია ბახვა ბრეგვაძემ თავად გაავრცელა:

– ახალი მუსიკალური მეგაპროექტი „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“. ამ გადაცემას საუკეთესო გოგოსთან ლიკა ქორქიასთან ერთად მეც წავიყვან. ყველაზე მაგარი გუნდი გვიმაგრებს ზურგს, ამიტომ ზუსტად ვიცით, რომ ყველაფერი 100-იანზე გამოგვივა. 27 ოქტომბერს „იმედზე“ ჩვენ პირდაპირ ეთერში ვართ... გვისურვეთ წარმატება.

# 4 ქართველი ხელოვანის ნამუშევრები ლუვრში გამოიფინა

„არტ შოპინგ“ – ასე ეწოდება გამოფენა-ბაზრობას, რომელიც ლუვრში იმართება და მასში ქართველი ხელოვანებიც მონაწილეობენ.



მოქანდაკეებმა ლევან ბუჯიაშვილმა და დარეჯანმა, იგივე დარეჯან ბერეკაშვილმა და მხატვრებმა გიორგი ტაბლიაშვილმა და ლელა ტაბლიაშვილმა საკუთარი ნამუშევრები პარიზში, „ლუვრის კარუსელში“ წარმოადგინეს.

წელს ამ გამოფენა-ბაზრობაში მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 700-მდე ხელოვანმა გამოთქვა. მოქანდაკეები, მხატვრები, ფოტოგრაფები, გრაფიკოსები საკუთარ შემოქმედებას არტ შოპინგ „ლუვრის კარუსელში“ დამთვალიერებელს 3 დღის განმავლობაში გააცნობენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# სუპერლიგაში პირველი რეგიონული დერბი გაიმართა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რიმართა. პირველი პერიოდის მოგება სტუმრებმა 1 ქულის სხვაობით მოახერხეს. თანაბარი ორთაბრძოლა გაგრძელდა შეხვედრის მეორე მეოთხედშიც, რომელიც 23:23 დასრულდა და დიდ შესვენებაზე ბათუმი 1-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მესამე პერიოდიდან ქუთათურებმა შედეგიანობას უმატეს და მეოთხედის 25:10 მოგების შემდეგ უპირატესობა მოიპოვეს. მეოთხე მეოთხედის მოგება ბათუმმა კი მოახერხა, თუმცა საბოლოო წარმატებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ქუთაისელებმა 11-ქულიანი უპირატესობით – 78:67 გაიმარჯვეს.

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 7 მოხსნით აკაკი დვალიშვილმა ულიდერა, 17 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა ბექა ბექაურმა, ქუთათურთა კაპიტანმა გიორგი ბარბაქაძემ კი 14 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ბათუმელთაგან საუკეთესონი იყვნენ ლეგიონერები – ლეონიდ სტეფანიშინი 17 ქულით და სპენსერ ქოლინზი 13 ქულითა და 8 მოხსნით.

**სოხუმი-მგზავრები 78:89**

**(22:20, 22:26, 23:17, 11:26)**

ორივე გუნდს პირველ ტურში მარცხი ჰქონდა განცდილი და პირველი გამარჯვებისთვის ემზადებოდა. აქედან გამომდინარე, თამაშიც საკმაოდ თანაბარი გამოვიდა.

გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე შეხვედრის ბოლო პერიოდში მგზავრებმა იძალეს, რომლებმაც დასკვნითი 10-წუთეული 26:11 მოიგეს და შეხვედრაც სასურველი შედეგით დაასრულეს – 89:78.

მგზავრებში შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა დერონ პაუერსს, რომელმაც 18 ქულა და 8 პასი მიითვალა. 13 ქულა მოაგროვა გუნდის კაპიტანმა კახა ჯინჭარაძემ, ხოლო სამმა კალათბურთელმა – სანდრო სანაძემ, რატი ნუცუბიძემ და ბერნარ ნკალიმ 12-12 ქულა მიითვალეს. ეს უკანასკნელი საერთო სარგებლიანობით საუკეთესო იყო მგზავრებში და 12 ქულას 14 მოხსნა, 7 დაფარება და 2 პასი მოაყოლა.

სოხუმში 25 ქულით და 6 პასით კვან უოლერი გამოირჩა. 20 ქულა მიითვალა ბოგდან ბაიდამ.




**კაკტუსი-სოხუმი 85:76**

**(13:17, 15:23, 33:23, 23:13)**

ამ გუნდებმა პირველ ტურში გამარჯვებები მოიპოვეს: ოლიმპმა ქუთაისს სძლია, ხოლო კაკტუსმა დამატებით დროში სოხუმს აჯობა.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. უკრაინელი ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა პირველი პერიოდი 17:14 მოიგეს, ხოლო მეორეში 23:15 იძალეს და დიდი შესვენებისთვის 40:28 დაწინაურდნენ. კაკტუსი ძალიან მებრძოლი გუნდია. ამაზე მეტით აგებდა წინა ტურში სოხუმთანაც და ის შეხვედრა დამატებით დროში მოიგო. ოლიმპთან კი ოვერტაიმი არ დასჭირვებია. მესამე მეოთხედში კაკტუსელებმა 33:23 იძალეს და თამაში თანაბარ რიტმს დაუბრუნეს.

გადამწყვეტ პერიოდში ამერიკელი დეანდრე პარკსის წინამძღოლობით არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ლიდერობა მოიპოვეს და გამარჯვებამდე ისე მივიდნენ, თამაში არც დაძაბულა. საბოლოოდ 85:76 და კაკტუსის მეორე გამარჯვება სუპერლიგაში.

გამარჯვებულებს 27 ქულით დეანდრე პარკსმა ულიდერა. 17 ქულა კრისტიან ჯონსონის ანგარიშზეა. 12 ქულა და 10 მოხსნა ანატოლი ბოისამ მიითვალა. ოლიმპში 17 ქულით მარკ ოგდენი გამოირჩა, 15 ქულით – მორის ჰილი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# პროგრამა

**ოთხშაბათი**

**23 ოქტომბერი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15, 03.10** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **12.30** დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **13.30** ქართ/დოკუმენტალისტიკა **15.00, 04.10** დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" **16.15, 05.10** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **17.15** ტ/სერ. **"ოფისი"** **18.30, 06.10** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი"** **22.00** სპორტული გადაცემა **22.30** FIFA **2016-2017** წლების საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოება. (პირდაპირი ლონდონიდან.) **23.50** მხ/ფ **"ანგელოზები და დემონები"** (ტ.ჰენკსი)

**06.30, 16.00** სერ. **"ტყუილი"** **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. **"ელიფი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"ქალაქის გული"** **18.50, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"დედა"** **7** სერ. **22.00** ნიჭიერი **00.30** მხ/ფ **"ბასტილიის დღე"** **02.15** მხ/ფ **"გაქცევა შეუძლებელია"** **04.15** მხ/ფ **"ხაზი"**

**06.00, 18.50** სერ. **"დესპოტი ქმარი"** **07.00, 20.03** სერ. **"დედამთილი"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი"** **16.55** სერ. **"უსასრულო მოლოდინი"** **22.00** არჩევანი **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

tv პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. **"ცხოვრების გზა"** **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** ღალატი

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი 2" **09.00, 19.00** სერ. **"ცისფერი სისხლი-4"** **11.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები-3"** **13.00** სერ. **"ძვლები 11"** **17.00** სერ. **"სამხედროების ცოლები"** **21.00** სერ. **"სპირალი 4"** **8** სერ. **22.30** მხ/ფ **"სიმამაცის კანონი"** **00.45** მხ/ფ **"სისხლიანი ალმასი"** **03.15** მხ/ფ **"სიცრუეთა ერთობლიობა"** **05.30** მხ/ფ **"დაქირავებული მკვლელები"**

იბერია **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. **"ბანდოლერა"** **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 3.40** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. **"გაქცეულები"** **22.00** სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** **23.00** პანორამა **00.00** სერ. **"შავი სია"**

**06.15** ღვთის სახლი "ბედია"

**06.50** პატერიკი-ოთხი კიდობნის შესახებ **06.55** ქართული ალბომი "პაატა ქურდოვანიძე" **07.20** ჩვენი საგანძური "ილია ჭავჭავაძის ხელნაწერი მემკვიდრეობა" **07.30** ჩვენი ფონდი "ლ. ახალაია-აფხაზეთის რეალური ისტორია" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-ზებრები" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან "არჩილი და ლუარსაბი" **10.40** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **10.50** საქართველოს დაცული ტერიტორიები "თუშეთის დაცული ტერიტორია" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"რაც გინახავს ვეღარ ნახავ"** **13.35** ან/ფ "კონკია" **1** **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი" **15.50** სპექტაკლი **"ილია 120"** ( ჭავჭავაძე) **17.10** კონცერტი **18.10** მოკ. მხ/ფ **"გამსვლელი პაიკი"** **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** კარაბადინი "ღვინო, რამაზ შენგელია" **20.00** საქართველო ევროპულ ოჯახში-"ვიზალიბერალიზაცია" **20.40** ძილი ნებისა "კოიოტი", "აბა დამაცადე" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** "კვირიაკის" სიუჟეტი-"მამა ელიოზი" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** ისტორიანი "წმინდა ნინო" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "წინასწარმეტყველი ესაია" VIII ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "სერაფიტი" **23.45** დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** ეპოქა და ადამიანები "დავით სარაჯიშვილი" **01.30** კონცერტი "მარიკა კვალიაშვილი" ნაწილი **1**

მაესტრო **10.00 - 23.30** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4864

ევრო — 2.9344

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2753

100 რუსული რუბლი — 4.3213

## ამინდის პროგნოზი 23 ოქტომბრისთვის





## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი
# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


# ქართული კლუბის პირველი ევროპული გამარჯვება

**ბათუმი-ჰაიდელბერგი 33:16**

**ბათუმი. რაგბი არენა**

ბათუმმა ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარის" მეორე ტურში გერმანულ ჰაიდელბერგს 4 ლელო დაუდო, 33:16 სძლია და 5 სატურნირო ქულა მოიპოვა. ეს ისტორიული ფაქტია – ქართულმა კლუბმა პირველი გამარჯვება მოიპოვა ჩელენჯ ქაფის შესარჩევ ტურნირში, რითაც ის ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდა და პლეი ოფს მიუახლოვდა.

თამაში მძიმე გამოდგა და მისი პირველი ტაიმი სტუმრებმა 9:6 მოიგეს. შესვენების შემდეგ ზღვისპირელებმა ტემპს უმატეს, რაც გატანილ ლელოებში აისახა, მეოთხე, პრემიალური ლელო კი ზედ საფინალო სასტვენის წინ გავიდა.



თავდაპირველად გერმანელები ხშირად ჯარიმდებოდნენ, რითაც ბექა ურჯუკაშვილმა ისარგებლა და პირველივე შეტევის შემდეგ ანგარიში გახსნა, მე-15 წუთზე კი ბათუმი 6:0 დააწინაურა.

თუმცა, პირველ ტაიმში უკეთ მაინც სტუმრები გამოიყურებოდნენ, მასპინძელთა შეცდომებს მაქსიმალურად იყენებდნენ და შესვენებამდე 3 ჯარიმა გაიტანეს – 6:9.

მეორე ტაიმში მოედანზე სხვა ბათუმი გავიდა. ზღვისპირელებმა პირველი ლელოს გატანა დებიუტშივე მოახერხეს. ლაშა ხმალაძემ მცველები ცრუმოძრაობაზე დაიჭირა, ხაზი გაჭრა და დაახლოებით 20 მეტრი ირბინა, მას კარგად მიყვა ზურაბ თუთბერიძე, რომელმაც დროული პასი მიიღო და ლელოში დიდი სისწრაფით შევიდა. ურჯუკაშვილის გარდასახვა ზუსტი იყო, რასაც ბახვა კობახიძის ჯარიმა მოჰყვა – 16:9.

ბათუმმა ტაიმის შუაში მეორე ლელო გაიტანა: ხვიჩა ბუჯიაშვილმა ბურთი სწრაფად გაითამაშა, სანდრო ქოიავამ კარგად ატარა, თამაშში ხაზის მოთამაშეები ჩაერთვნენ და მარჯვენა ფლანგზე შექმნილი რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს – გიორგი გოგიტიძე ალამთან შეფრინდა. გარდასახვა არაზუსტი იყო – 21:9.

სოლიდურად ჩამორჩენილმა გერმანელებმა ჯარიმა აღარ დაარტყეს და ლელოზე ითამაშეს. ერთხელ მათ ხაზის გადალახვაც მოახერხეს, თუმცა ბურთი ჩაიხურა. ბათუმმა შემდეგი იერიშიც მოიგერია. ზღვისპირელებმა შანსი რომ მიიღეს ორი ჯარიმით მეტოქის 22-ში ჩავიდნენ, მოლის ჩაშლის შემდეგ მორკინალებმა რამდენჯერმე დაარტყეს და ზურაბ ერისთავმა ლელოს ხაზი გადაკვეთა, ხოლო კობახიძემ გარდასახვა შეასრულა – 28:9.

ტაიმის მიწურულს მასპინძლები დაცვაში შეცდნენ სებასტიან ფერეირას ლელო კუციამ გარდასახა – 28:16.

დარჩენილ დროში პრემიალური ქულის აღების შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, თუმცა ბათუმმა მეტად მოინდომა, მეტოქეს რაქში ბურთი აართვა და კონტრშეტევა გაშალა, რასაც ზედ ლელოსთან სტუმართა შეცდომა მოჰყვა, ბურთს დავით ტრაპაიძე დაეუფლა და მეოთხე ლელოთი ქართულ კლუბს ბონუს-ქულა მოუპოვა – 33:16.

2 თამაშის შემდეგ ბათუმს 7 ქულა აქვს და ბ ჯგუფის სათავეში მოექცა. მეორე ტურში გამარჯვებები მოიპოვეს ქართული კლუბის იტალიელმა კონკურენტებმა. იტალიურ დერბიში კალვიზანომ ვიადანს პრემიით, 41:14 მოუგო და 6 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო პეტრარკამ როვიგოს 18:13 სძლია და 5 ქულით მესამეა. დამარცხდა ლისაბონის უნივერსიტეტი, რომელიც რუმინულ ტიმიშოარა-სარასენსს მასპინძლობდა – 10:45. პორტუგალიელებს 4 ქულა დარჩათ და ბოლო ადგილზე დაქვეითდნენ.

ა ჯგუფს 9 ქულით ტიმიშოარა-სარასენსი ლიდერობს, როვიგოს 6 ქულა აქვს, ჰაიდელბერგს – 4 და ვიადანას – 1.

„კონტინენტის ფარზე" ბათუმი მომდევნო თამაშს 9 დეკემბერს იტალიაში, ვიადანასთან გამართავს, ჯგუფურ ეტაპს კი 16 დეკემბერს ბათუმში, რუმინეთის ჩემპიონ ტიმიშოარა-სარასენსთან მატჩით დაასრულებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## იუმორი



●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორესეუბნება:

– გუშინ მე და ჩემმა ცოლმა ვიჩხუბეთ.

– რატომ?

– გამომიცხადა, რომ თავისი ძვირფასი ტანსაცმელი ღარიბების, მშიერ-მწყურვალებისთვის უნდა დაერიგებინა.

– მერე?

– მე ვუთხარი, რომ მისი ზომის ტანსაცმელი ვისაც მოერგებოდა, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, რომ მშიერ-მწყურვალი ყოფილიყო.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– შენ ცოლად გაჰყვებოდი მდიდარ სულელს?

– ქონება გაქვს თუ აბსტრაქტულად გაინტერესებს?

●●●

კაცმა ქალი გაიცნო, სახლში დაპატიჟა, ერთი ბოთლი შამპანური დალიეს და კაცი ეკითხება:

– ჩემთან ღამის გატარებაზე უარს ხომ არ მეტყვი?

– ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

– რა, მამაკაცთან არასოდეს ყოფილხარ?

– არა, სულელო, უარი არასოდეს მითქვამს.

●●●

კაცს სიდედრი ესტუმრა. სუფრა გაშალეს, სიდედრი მაგიდასთან ზის, რომლის თავზეც დიდი საათი კიდია. სიდედრმა ისადილა, ადგა და ხელების დასაბანად გავიდა. ამ დროს საათი ჩამოვარდა.

– სულ როგორ აგვიანებს ეს შობელძაღლი, – ჩაილაპარაკა სიძემ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თვალი ჩალურჯებული რატომ გაქვს?

– ქალის გამო ვიჩხუბე!

– ვისთან?

– ცოლთან...

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– რა უტაქტობაა შენი მხრიდან! მე შენ გეუბნები, რომ ჩემი ცოლი ბავშვს ელოდება, შენ კი მეკითხები, ვისგანო?

– მაპატიე, მეგონა, იცოდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 5 ოქტომბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 10 ოქტომბრიდან

# ქართული ჰაგიოგრაფია

**წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების", „აბოს წამებისა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.**




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




## „ტიტანიკის" დაღუპული მგზავრის წერილი აუქციონზე გაიყიდება

დიდ ბრიტანეთში აუქციონზე გასაყიდადაა გამოტანილი წერილი, რომელიც 1912 წელს ჩაძირული ლაინერის „ტიტანიკის" მგზავრის მიერაა დაწერილი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს ბოლო წერილია, რომელიც ხომალდზე მყოფმა მგზავრმა მის კატასტროფამდე დაწერა.

წერილის ავტორია – პირველი კლასის მგზავრი ალექსანდრ ოსკარ ჰოლივერსონი. ტრაგედიის დროს ის დაიღუპა, ხოლო მასთან ერთად მყოფი მისი მეუღლე გადარჩა.

წერილში, რომელიც ჰოლივერსონის დედისთვისაა განკუთვნილი, ნათქვამია: „ეს გიგანტური ხომალდია და მდიდრული სასტუმროსავითაა გაწყობილი. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ნიუ-იორკში ოთხშაბათს ვიქნებით".

აუქციონზე გამოტანილი ამ წერილის ფასი 60-დან 80 ათას ფუნტ სტერლინგამდეა.

## მელანია ტრამპს „ორეული" არ ჰყავს



ამერიკულმა გაზეთმა ვაშინგტონ პოსტმა აშშ-ის პირველი ლედის მელანია ტრამპის „ორეულის" საიდუმლო ამოხსნა.

ყველაფერი ტვიტერში ჭორების გავრცელებით დაიწყო, რომლის თანახმადაც ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს მეუღლის „ორეული" ჰყავს. სოციალური ქსელების ზოგიერთმა მომხმარებელმა ჩათვალა, რომ ახალი ამბების გადაცემის კადრებში სახელმწიფო მეთაურის გვერდით იდგა არა მისი ნამდვილი მეუღლე, არამედ ვილაც საიდუმლოებით მოცული ქალი, დიდი შავი სათვალეებით და შესაძლოა პარიკითაც.

გამოცემამ ამ ისტორიის გამოსაძიებლად „სერიოზული" რესურსები აამოქმედა, კერძოდ, პირადად სტატიის ავტორი.

როგორც გაზეთმა გამოარკვია, სინამდვილეში აშშ-ის პრეზიდენტის გვერდით მისი მეუღლე დგას. ჯერ ერთი, განმარტავს გამოცემა, ის ძალიან ჰგავს მელანია ტრამპს.

მეორეც, შესწავლილი იქნა სხვა რაკურსით გადაღებული ჩანაწერებიც და ერთ-ერთ ფოტოზე „ქალი იქსის" დანახვა მზის სათვალეების გარეშეა შესაძლებელი, ის „საშინლად" ჰგავს მელანია ტრამპს, წერს გაზეთი.

ამ ვერსიის დამადასტურებლად სხვა საბუთებიც იქნა მოყვანილი. გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისთვის, რომ ტრამპს ცოლის „შემცვლელი" დასჭირდეს ასეთი ღონისძიებებისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. დახურული ოთხთვალა ეტლი; 4. ხის ქერქქვეშა მკვრივი ნაწილი; 7. დიდი ხმაური; 9. კამეჩის ხმიანობა; 11. კურკოვანი ხილი; 12. სუნთქვისა და წვისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტი; 13. ჩქარი წვიმა; 17. ლომების ოჯახი; 18. მირტყმული ადგილი შუბლზე; 19. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო; 20. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. სინემა; 2. საპალტოე ქსოვილი; 3. რკინიგზის მუშა; 5. მინანქარი; 6. მჭედელი; 8. ყუთი ეკრანით; 10. ლიტერატურასა და ხელოვნებაში სანიმუშო ნაწარმოები; 12. პერიოდული გამოცემა წიგნის სახით; 14. ცირკის მოედანი; 15. რისამე ზღვრული ნორმა; 16. წიწვოვანი ტყის ზოლი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

